საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

მაგრდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 17 იანვარი. 2022 წ. №8 (9346) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მსოფლიო დაემსგავსა გზააბნეულ მგზავრს!..

ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა და პოლიტოლოგმა Richard Haass-მა მსოფლიოში დღევანდელ მდგომარეობას გაურკვევლობის ხანა უწოდა და აღნიშნა, რომ ცივი ომის დროინდელი სისტემა დაიშალა, ხოლო ლიბერალურმა დასავლეთმა ახლის შექმნა ვერ მოახერხა. მსოფლიო დაემსგავსა მგზავრს, რომელიც სწორ გზას ასცდა და დაბნეულად დაეხეტება, გზის გაგნება კი ბევრ რამეზეა დამოკიდებული და სიურპრიზიც, სავარაუდოდ, ბევრი გველოდება



ამკარაა, რომ რუსეთი ამ ბოლო წლებში ერთი და იმავე სცენარით მოქმედებს. ესაა მოწინააღმდეგეში შიშის გამოწვევა და ომის ესკალაციის პროვოცირება. ასეთია რუსეთის ტაქტიკურ-სტრატეგიული სტილი. რუსეთი, როგორც წესი, რეგიონულ კრიზისებს თავის სასარგებლოდ...

③ ტყუილია ინფორმაცია, თითქოს NATO-ს ბაზები მთელს მსოფლიოში აქვს

კელი დეგნანმა რუსეთს კიდევ ერთხელ ჩამოხსნა ნიღაბი!

③

„მკვდრადშობილი“ თუ... ახალი სატყუარა?!

③

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ საქართველო უნდა შეუერთდეს რეგიონული თანამშრომლობის „3+3“ ფორმატს.

დღიდან დაარსებისა, ტექნიკური უნივერსიტეტის სახელთანაა დაკავშირებული აღმშენებლობის ყველა პროცესი საქართველოში

④

ქოცები საქმით ასამარებენ ნაცებს!

კიდევ ერთხელ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუს“ მიერ დაფინანსებულ პროექტებზე

⑤

პრეზიდენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას ხელი მოაწერა

უნდა ითქვას, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებებიც აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. თუმცა, ამ ცვლილებების მიმართაც სამართლებრივი სახის მოტივირებული შენიშვნებისთვის საფუძველი არასაკმარისად მიმაჩნია.

სალომე გურაბიშვილი

სალომე ზურაბიშვილის ზომიერი პრინციპულობა ყველასთვის მისაღები და სასარგებლოა!

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელიც სამსახურის გაუქმებასა და მის ნაცვლად ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

„ამგვარი სტრუქტურული ცვლილებების მიმართ არსებობდა და არსებობს განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს გადაწყვეტილება არ შეიცავს თავისთავად კატეგორიული ხასიათის სამართლებრივ წინააღმდეგობას. სამსახურის გაუქმება და ახალი სტრუქტურების დაარსება თავისთავად არ იძლევა საფუძველს პრეზიდენტის მხრიდან სამართლებრივი ხასიათის მოტივირებული შენიშვნებისთვის. თუმცა, მიუღებლად მიმაჩნია ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღება დაჩქარებული წესით, ყოველგვარი კონსულტაციებისა და სათანადო დისკუსიის გარეშე. მით უმეტეს, რომ დაჩქარებული წესით მისი განხილვის საჭიროება არაფრით არ ყოფილა გამართლებული. მიუღებელია, რომ ქვეყანაში, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის გამყარებას, ისეთ საკვანძო საკითხს, როგორიც არის პირადი მონაცემების დაცვა, დისკუსიისათვის სათანადო დრო და სივრცე არ ეთმობა. ძალიან ცუდი პრეცედენტია, რომ დამოუკიდებელი სამსახურის ხელმძღვანელი, 6 წლის ვადით არჩეული პირი, სამსახურიდან თავისუფლდება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა თუ მისი პროფესიული საქმიანობის მიმართ არგუმენტირებული შენიშვნების გარეშე. მით უმეტეს, როცა ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ ერთ-ერთ დიდ გამოწვევად რჩება თანამდებობის პირების დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის გამყარება“, – აღნიშნულია სალომე ზურაბიშვილის განცხადებაში.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შექმნილია უსამართლო ვითარება, რასაც იზიარებს და უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს.

„ვიტოვებ იმედს, რომ გამოსავალი იქნება მოძიებული, რათა ახლადშექმნილ ერთ-ერთ სამსახურში სახელმწიფო ინსპექტორს მიეცეს საკუთარი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა, დამოუკიდებლობის ყველა გარანტიით. მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ასევე განაპირობებს დანარჩენი თანამშრომლების დამოუკიდებლობის ხარისხს“, – წერია პრეზიდენტის განცხადებაში.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ხელი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებებსაც მოაწერა.

„უნდა ითქვას, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებებიც აჩენს გარკვეულ კითხვის ნიშნებს. თუმცა, ამ ცვლილებების მიმართაც სამართლებრივი სახის მოტივირებული შენიშვნებისთვის საფუძველი არასაკმარისად მიმაჩნია. აღნიშნულის მიუხედავად, ამ შემთხვევაშიც დგას საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ცვლილებებით მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ზედიზედ მეორედ არჩევა დანიშვნის დაშვება აჩენს კითხვას, თუ რამდენად აამაღლებს ეს შესაძლებლობა საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის ხარისხს ან დაეხმარება კადრების განახლების პროცესს. ასეთივე კითხვები ჩნდება სხვა ცვლილებებთან მიმართებითაც. თუმცა პრეზიდენტი ეჭვების საფუძველზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. სამაგიეროდ, მინდა გავაფრთხილო საკანონმდებლო ორგანო იმ რისკების შესახებ, რომლებსაც შეიცავს კანონის ახალი რედაქცია და შევახსენო, რომ მოსამართლეების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ჩვენი დემოკრატიის განვითარების ქვაკუთხედია, ასევე, მინდა დავარწმუნო ყველა იმაში, რომ ვიქნები დიდი ყურადღებით კანონის აღსრულების პროცესის მიმართ“, – ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

უკრაინაზე კიბერთავდასხმა განხორციელეს

„საქართველო მკაცრად გმობს უკრაინისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ განხორციელებულ კიბერთავდასხმას. მსგავსი ქმედებები ყოვლად მიუღებელია და ქმნის საფუძველს სიტუაციის შემდგომი ესკალაციისთვის. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას“, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

14 იანვარს უკრაინის რამდენიმე სამინისტროს ვებგვერდებზე კიბერშეტევა განხორციელდა. 15 იანვარს კიევში განუცხადეს, რომ უკრაინის სახელმწიფო უწყებებზე განხორციელებული კიბერთავდასხმები ბელარუსმა ჰაკერებმა მოაწყვეს.

ოკუპაციის წნეხი და სტუდენტთა განათლება

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან წარჩინებულ სტუდენტს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდია და შესაბამისი სერტიფიკატი გადასცა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, თეა ახვლედიანმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან წარჩინებულ სტუდენტს ანა ბარბაქაძეს კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდია და შესაბამისი სერთიფიკატი გადასცა.

სახელწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა. მათივე ინფორმაციით, თეა ახვლედიანმა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომლის ფარგლებშიც განსაკუთრებული აქცენტი ახალგაზრდების მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე კეთდება და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ხარისხიან განათლებაზე გამარტივებული წვდომის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

სახელმწიფო მინისტრმა ხაზი გაუსვა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის როლს და მათ სწავლასა და შემდგომ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. თავის მიმართვაში ნუნუ მიცკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განათლების მიღების კუთხით ახალგაზრდების მხარდაჭერა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით მიმდინარე პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

მინისტრის მოადგილემ ანა ბარბაქაძეს სტიპენდიის მოპოვება პირადად მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. 2021 წლის სტიპენდიატი გახდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ანა ბარბაქაძე. სტიპენდიატმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ჯავის რაიონის სოფელ სინაგურის საშუალო სკოლა დაამთავრა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა. ანა ბარბაქაძე სტიპენდიის სახით ოთხი სასწავლო წლის მანძილზე 300 ლარს ყოველთვიურად მიიღებს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებში აამაღლოს უმაღლესი განათლების მიღებისა და სწავლის მოტივაცია, რომ ისინი მეტი განათლებითა და წარმატებებით დაუპირისპირდნენ ოკუპაციის წნეხს.

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები 2018 წლიდან სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით დაარსდა და განკუთვნილია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ“, – აღნიშნულია სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურის ინფორმაციაში.

ტყუილია ინფორმაცია, თითქოს „ცივი ომის“ შემდეგ NATO რუსეთს არგაფართოებას დაჰპირდა!!!

NATO-რუსეთის ურთიერთობების უკიდურესად დაბალ ნიშნულზე დასვლისა და ვლადიმირ პუტინის მიერ დასვლეთისთვის წაყენებული ულტიმატუმების ფონზე, კრემლის პროპაგანდა ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს დასავლეთმა დაარღვია წარსულში რუსეთისთვის მიცემული პირობა, აღმოსავლეთით არგაფართოების თაობაზე. ტყუილია ინფორმაცია, თითქოს „ცივი ომის“ შემდეგ NATO რუსეთს არგაფართოებას დაჰპირდა.

ფაქტი კი შემდეგია: NATO-ს წევრი ქვეყნები გადაწყვეტილებებს კონსენსუსის საფუძველზე იღებენ და ეს გადაწყვეტილებები წერილობითი სახით დასტურდება. არავითარი წერილობითი მტკიცებულება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისა არ არსებობს. ხოლო ცალკეული ხელმძღვანელების შესაძლო პირადი დაპირებები ალიანსის კონსენსუსს ვერ ანაცვლებს და ნატოს ოფიციალურ გადაწყვეტილებას არ წარმოადგენს.

როგორც ალიანსში აცხადებენ, NATO-ს ღია კარის პოლიტიკა ემყარება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სადამფუძნებლო

დოკუმენტის – ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების (1949 წ.) მე-10 მუხლს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ NATO-ს წევრობა ღიაა „ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელსაც ძალუძს, განავითაროს ამ შეთანხმების პრინციპები და პირადი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებაში“.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ გაფართოების შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს „საერთო თანხმობით“. NATO-ს არასოდეს გაუუქმებია ხსენებული შეთანხმების მე-10 მუხლი და არასოდეს შეუზღუდავს გაფართოების პოტენციალი. ბოლო 72 წლის განმავლობაში საკუთარი დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, NATO-სთან მიერთების სასარგებლოდ თავისუფალი არჩევანი 30-მა ქვეყანამ გააკეთა. ეს მათი სუვერენული არჩევანია. მეტიც, იმ დროს, როდესაც ვითომდა გაცემულ იქნა ზემოხსენებული დაპირება არგაფართოების

რუსეთმა 3+3 ფორმატის კონტექსტში საქართველოსთან კომუნიკაციისთვის თურქეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს მიმართა

ამასთან, მისივე მტკიცებით, „ამ ფორმატთან მიერთება არ დაავალდებულებს საქართველოს არაფერში, რაც მის პოლიტიკურ პოზიციებს შეეხება“.

„შეიძლება შევთანხმდეთ, რომ ამ ფორმატში განვიხილავთ მხოლოდ ისეთ თემებს, რომლებიც ყველა მონაწილეს აინტერესებს“, — განაცხადა ლავროვმა და დასძინა, რომ მოსკოვს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა თბილისთან, ამიტომ ნაკლები შესაძლებლობა აქვს, საქართველოს რეგიონული თანამშრომლობის 3+3 ფორმატის უპირატესობა აუხსნას:

„ჩვენ მივმართეთ თურქ და აზერბაიჯანელ მეგობრებს, სომხეთს თხოვნით, რომ მათ აუხსნან ქართველ მეზობლებს 3+3 ფორმატში ჩართვის სარგებელი მათთვის, როგორც ყველა ჩვენგანისთვის. ასეთი მონაწილეობა მათ არაფერს დაავალდებულებს პოლიტიკური პოზიციების კუთხით“.

რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განსავითარებლად **„ექვსთა პლატფორმის“ (თურქეთი, რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი)** შექმნის აუცილებლობის თაობაზე, რომელსაც ბევრი ექსპერტი რეგიონიდან დასავლეთის განდევნის მცდელობად განიხილავს, გასული წლის დეკემბერში თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა. ინიციატივას მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანის, ირანის და რუსეთის ლიდერებმა. თბილისში კი აცხადებენ, რომ საქართველო რუსეთთან ერთობლივ ვერავითარ ფორმატში ვერ ჩაებმება, სანამ რუსეთს ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული.

პირველი შეხვედრა მოსკოვში 10 დეკემბერს შედგა. მასზე საქარველო არ იყო წარმოდგენილი, თუმცა გამოფინეს საქართველოს დროშა, რასაც ოფიციალურმა თბილისმა მიუღებელი უწოდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი პოზიცია ფორმატთან მიმართებაში.

კონფლიქტოლოგთა ნაწილი ფორმატს „მკვდრადშობილს“ უწოდებს პოტენციურ მონაწილეთა აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესების გამო.

„მკვდრადშობილი“ თუ... ახალი სტყუარა?!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მიიჩნევს, რომ საქართველო უნდა შეუერთდეს რეგიონული თანამშრომლობის „3+3“ ფორმატს.

„მისი განხილვის პირველი დღეებიდანვე და მოსკოვში გამართული შეხვედრის მზადების დროს მე მხარს ვუჭერდი იმას, რომ ჩვენი ქართველი მეზობლები ასევე ყოფილიყვნენ ჩართულნი ამ პროცესში იქიდან გამომდინარე, რომ რაც უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს ურთიერთობისთვის, ალბათ, მით უკეთ შეიძლება დარჩენილი პრობლემების მოგვარება“, — განაცხადა 14 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ლავროვმა.

მან გაიხსენა, რომ ამჟამად რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები ერთმანეთს “ამიერკავკასიის პრობლემების გარშემო შექმნილი ჟენევის დისკუსიების ჩარჩოებში“ ეკონტაქტებიან, ასევე მოსკოვსა და თბილისს შორის „კარგახნის წინ ამოქმედებული არაოფიციალური ორმხრივი არხის“ საუალებით (აბაშიძე-კარასინის ფორმატი). ლავროვის აზრით, „პროცესი, რომელიც 3+3-ის ფორმატში დაიწყო, უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ამ ფორმატში მთელი რეგიონის განვითარების პერსპექტივა განიხილება“.

კელი დეგნანმა რუსეთს კიდევ ერთხელ ჩამოხსნა ნიღაბი!

საქართველო ნატოსა და აშშ-ის ღირებული პარტნიორია და ერთად ვიმუშავებთ ამ კრიზისზე პასუხის გასაცემად

ჩვენ არ ვაპირებთ მოვილაპარაკოთ ევროპის შესახებ, ევროპის გარეშე, არ ვაპირებთ მოვილაპარაკოთ ნატოს შესახებ ნატოს გარეშე და არ ვაპირებთ მოვილაპარაკოთ საქართველოს შესახებ საქართველოს გარეშე. ქვეყნებს აქვთ სუვერენული უფლება, აირჩიონ თავისი ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროს პარტნიორები, — ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

მან კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანსა და ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს კარენ დონფრიდს შორის შემდგარი საუბრის შემდეგ, რომელიც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში შედგა.

როგორც კელი დეგნანმა აღნიშნა, პუტინი ევროპული უსაფრთხოების დესტაბილიზაციის მცდელობით შეიძლება შიდა პრობლემებისგან რუსი ხალხის ყურადღების გადატანას ცდილობდეს, ან ნატო-ს ერთობის შესუსტებას:

„მინისტრმა და მე ახლახან დავასრულეთ კონსულტაციები სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კარენ დონფრიდთან რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე ჩვენი რეაგირების ძალისხმევის შესახებ. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ეს არის კრემლის მიერ შექმნილი კრიზისი. გაუგებარია, რატომ ცდილობს რუსეთი ევროპული უსაფრთხოების დესტაბილიზაციას — შეიძლება, ამით ცდილობს შიდა პრობლემებისგან რუსი ხალხის ყურადღების გადატანას, ან ნატოს ერთობის შესუსტებას. ერთი რამ ცხადია, სწორედ რუსეთი შეიჭრა სუვერენულ ქვეყნებში, როგორებიცაა უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, და სწორედ რუსეთმა მოახდინა უკრაინის საზღვარზე ჯარების მობილიზაცია მუქარის ნიშნად. რუსეთის ძალადობა ეჭვს არ ტოვებს, რომ ევროპული უსაფრთხოების მთავარი საფრთხე კრემლიდან მოდის და ეს ასეა ბოლო ორი ათწლეულის უმეტესი დროის მანძილზე. ახლა რუსეთი ცდილობს, შეცვალოს ძალისმიერი მუქარით სამი ათწლეულის მშვიდობა, უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება. ნატო 70 წლის წინ დაარსდა, როგორც დედამიწაზე თავდაცვითი ორგანიზაცია, რომელიც დედამიწაზე მშვიდობასა და სტაბილურობას ესწრაფვის“.

მისივე თქმით, ნატომ შესთავაზა რუსეთს ნატო-რუსეთის საბჭოს მეშვეობით საუბარი, რა მიზნისთვისაც ეს საბჭოა შექმნილი, მაგრამ რუსეთმა უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაზე:

„თუ ახლა კრემლი სერიოზულად უყურებს დიალოგს, მან უნდა გადადგას ნაბიჯები დაძაბულობის დეესკალაციისთვის, რაც თავად რუსეთმა შექმნა. როგორც გუშინ სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, თუკი რაიმე გამოწვევა დგას ევროპული უსაფრთხოების წინ, ის რუსეთისგან მოდის და არა ნატოსგან. რუსეთის რიტორიკა ვერ გადაფარავს, რომ რუსეთი შეიჭრა თავის მეზობელ ქვეყნებში, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებში და ახლა მისი ჯარები განლაგებულია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ტერიტორიებზე. რუსეთია ის, ვინც გამოიყენა ქიმიური იარაღი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და კლავდა და კლავს ხალხს მთელ ევროპაში. ეს რუსეთია, რომელიც აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციასა და ტყუილს ევროპაში დაბნეულობისა და განხეთქილების შეტანისთვის.

მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, ახლაც და ადრეც, ევროპა კვლავ ერთიანია. შეერთებულმა შტატებმა, ნატომ და ევროპელმა ლიდერებმა დაადასტურეს ჩვენი ერთობლივი ერთგულება დიალოგისა და დიპლომატიის მიმართ და აღნიშნეს, რომ ჩვენთვის აუცილებელია რუსეთმა განახორციელოს კონკრეტული ქმედებები დაძაბულობის დეესკალაციისთვის, თუ გვინდა, რომ დიპლომატია წარმატებული აღმოჩნდეს. ამ კვირის მაღალი დიპლომატიის თანმიმდევრულად ჩვენი შემდგომი მოქმედებისას ვიხელმძღვანელებთ ამ უმთავრესი პრინციპებით: გადაწყვეტილებების მიღება ნატოს წევრობასთან დაკავშირებით თითოეულ აპლიკანტ ქვეყანასა და ნატოს 30 მოკავშირეზეა დამოკიდებული. ვერავის სხვას ვერ ექნება ხმის ან ვეტოს უფლება ამ გადაწყვეტილებებზე. ჩვენ არ ვაპირებთ, მოვილაპარაკოთ ევროპის შესახებ, ევროპის გარეშე. ჩვენ არ ვაპირებთ მოვილაპარაკოთ ნატოს შესახებ ნატოს გარეშე, და ჩვენ არ ვაპირებთ მოვილაპარაკოთ საქართველოს შესახებ საქართველოს გარეშე. ქვეყნებს აქვთ სუვერენული უფლება აირჩიონ თავისი ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროს პარტნიორები“, — აღნიშნა ელჩმა.

მისივე თქმით, საერთაშორისო სამართლის ძირითადმა პრინციპებმა ტრანსატლანტიკურ საზოგადოებას 80 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოუტანა საერთო მშვიდობა და ეკონომიკური ზრდა:

„ეს ის პრინციპებია, რომლებსაც რუსეთის ლიდერები არაერთხელ დაეთანხმნენ. ყველა ჩვენგანმა მტკიცედ უნდა უარყოს პრეზიდენტ პუტინის მცდელობა, ჩაანაცვლოს ეს პრინციპები საბჭოთა მსგავსი დომინირებით, ჩაგვრითა და კონტროლით. საქართველო კარგად იცნობს რუსეთს თქვენი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ხანგრძლივი ისტორიიდან. საქართველო ნატოსა და შეერთებული შტატების ღირებული პარტნიორია და ჩვენ ერთად ვიმუშავებთ ამ კრიზისზე პასუხის გასაცემად, ვაგრძელებთ რა ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის მშენებლობას“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

თაობაზე, ჯერ კიდევ არსებობდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და მისმა წევრებმა ორგანიზაციის დაშლაზე თანხმობა მხოლოდ 1991 წელს განაცხადეს. NATO-სთან მათი მიერთების იდეა კი 1989 წელს დღის წესრიგში არ იდგა. ეს თავად მიხეილ გორბაჩოვმაც დაადასტურა „Россия поверх заголовков“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში:

„NATO-ს გაფართოების“ საკითხი იმ წლებში საერთოდ არ განხილულა და არც არსებობდა. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. იგი არც ერთ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანას არ დაუყენებია, მათ შორის — არც 1991 წელს ვარშავის შეთანხმების არსებობის შეწყვეტის შემდეგ. ეს საკითხი არც დასავლელ ხელმძღვანელებს დაუყენებიათ“. როგორც ალიანსში აცხადებენ, თეთრი სახლის გასაიდუმლოებული სტენოგრამები ასევე მოწმობს, რომ 1997 წელს ბილ ქლინთონი თანმიმდევრულად უარყოფდა ბორის ელცინის შეთავაზებას, დაედოთ „ჯენტლმენური შეთანხმება“ იმის შესახებ, რომ ნატოში არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა არ შევიდოდა: „ნატოს სახელით პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ და არ ვაპირებ, თავად დავადო ნატოს გაფართოებას ვეტო არც ერთ ქვეყანასთან მიმართებაში, მით უფრო ამის უფლება მოგცეთ თქვენ ან ნებისმიერ სხვას... ნატო კონსენსუსის საფუძველზე მოქმედებს“.

მცდარია ინფორმაცია, თითქოს NATO-ს ბაზები მთელს მსოფლიოში აქვს

დასავლეთსა და ნატოს შორის მზარდი დაპირისპირების ფონზე, კრემლის ჰიბრიდული მანქანა აქტიურად ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ NATO-ს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვს ბაზები განლაგებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

კერძოდ, NATO-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა მოკავშირეთა ტერიტორიის გარეთ მხოლოდ იმ ტერიტორიებით შემოიფარგლება, სადაც ალიანსი ახორციელებს ოპერაციებს.

NATO-ს აქვს სამხედრო ობიექტები კოსოვოში, მაგალითად, KFOR-ის ((ნატოს დაქვემდებარებაში მყოფი საერთაშორისო ძალები) სამშვიდობო მისიისთვის. NATO-ს ასევე აქვს სამოქალაქო სამეკავშირეო ოფისები პარტნიორ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და რუსეთი. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს „სამხედრო ბაზებად“.

ცალკეულ მოკავშირეებს საზღვარგარეთ ბაზები ორმხრივი შეთანხმებებისა და მასპინძელი ქვეყნის თანხმობის პრინციპის საფუძველზე აქვთ, განსხვავებით რუსული ბაზებისგან, რომლებიც მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიაზეა განლაგებული.

ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლისაა

დღიდან დაარსებისა, ტექნიკური უნივერსიტეტის სახელთანაა დაკავშირებული აღმშენებლობის ყველა პროცესი საქართველოში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის მდიდარი საგანმანათლებლო ტრადიციების ნიადაგზე აღმოცენდა და საინჟინრო განათლების სფეროში პირველი, ხოლო ზოგადად – ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულებაა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებას იუბილე მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„მოგესალმებით ძვირფასო პროფესორებო და სტუდენტებო, უნივერსიტეტის თანამშრომლებო და კურსდამთავრებულებო, საპატრიარქოს წარმომადგენლებო! გულითადად გილოცავთ უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის მდიდარი საგანმანათლებლო ტრადიციების ნიადაგზე აღმოცენდა და საინჟინრო განათლების სფეროში პირველი, ხოლო ზოგადად – ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულებაა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

დაარსებიდან მალევე უნივერსიტეტი გადაიქცა საინჟინრო კადრების უდიდეს და შეიძლება ითქვას, მთავარ სამჭედლოდ, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქართული მეცნიერებისა და მთელი რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღიდან დაარსებისა, ამ უნივერსიტეტის სახელთანაა დაკავშირებული აღმშენებლობის ყველა პროცესი საქართველოში.

ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. უნივერსიტეტი უმაღლესი დონის პროფესიონალთა მომზადებისა და ტექნიკური მეცნიერებების განვითარების მხრივ რეგიონში აღიარებულ ლიდერად რჩება. იგი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-მშენებლებს, რკინიგზელებს, სამთო დარგის სპეციალისტებს და გეოლოგებს, არიქიტექტორებს, ენერგეტიკოსებს, ქიმიკოსებს, კავშირგაბმულობის სპეციალისტებს. დღეს ამ უნივერსიტეტში საინჟინრო და ტექნოლოგიურ სპეციალობებს 20 000-ზე მეტი სტუდენტი ეუფლება.

უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, და უნივერსიტეტთა პრესტიჟული საერთაშორისო ქსელების წევრია.

მე მსურს აღვნიშნო უნივერსიტეტის ბოლოდროინდელი მიღწევები: განსაკუთრებული მოვლენაა ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასვლა, რასაც კიდევ ერთხელ გილოცავთ.

ეს ნიშნავს, რომ ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში მკვლევრებთან ერთად სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტებიც აქტიურად ჩაერთვებიან. ესაა სრულიად ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობა ჩვენი ახალგაზრდებისთვის.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტისა და საფრანგეთის „რენ 1“ უნივერსიტეტის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში შეიქმნა. ორდიპლომიანი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედება უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საიუბილეო ღონისძიება მთავრობის მეთაურმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან ერთად გახსნა. სტუმრებს სიტყვით მიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ხელი მოეწერა სამომავლო გზავნილს, რომელიც ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე სკვერში კაფსულოს სახით ჩაიდება და სტუ-ის 150 წლის იუბილეზე გაიხსნება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მთელი წლის განმავლობაში არაერთი ღონისძიება გაიმართება. ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

წმინდა გიორგის ოქროს ორდენი – უნივერსიტეტს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ბრძანებით, ტექნიკურ უნივერსიტეტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი მიენიჭა. ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

„განათლებისა და მეცნიერების განვითარებასა და ქვეყნის აღორძინებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის და დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო, – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“, – წერია საპატრიარქოსადმი ბრძანებაში.

წელს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსის სრული რეაბილიტაცია დაიწყება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით,100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, წელს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსის სრული რეაბილიტაცია დაიწყება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობის პრიორიტეტი უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურების მჭიდროდ დაკავშირებაა და სამინისტროსა და უნივერსიტეტის თანამშრომლობით მალე ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარული კოლეჯი გაიხსნება.

„ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტია უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურების მჭიდროდ დაკავშირება. უნივერსიტეტის წიაღში პროფესიული განათლების განვითარება ხელს შეუწყობს განათლების უწყვეტობის პრინციპის განხორციელებას. რაც მთავარია, ეს არის ის, რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ეკონომიკას განვითარების დღევანდელ ეტაპზე ყველაზე მეტად სჭირდება. ამიტომ, მისასალმებელია, რომ სამინისტროსა და უნივერსიტეტის თანამშრომლობით მალე გაიხსნება ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარული კოლეჯი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მთავრობა უკვე შეუდგა საქართველოს განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელებას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენ ორიენტირებული ვართ განვითარების გრძელვადიან, მდგრად, ინკლუზიურ პროცესზე, რომელმაც ეკონომიკის გაძლიერება, ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. მჯერა და ველით, რომ ამ პროცესშიც ტექნიკური უნივერსიტეტი წამყვან როლს შეასრულებს.

რა თქმა უნდა, ყველა მიღწევისა და წარმატების უკან თქვენი – მეცნიერების, პედადოგების, სპეციალისტებისა და სტუდენტების დიდი შრომა დგას, და მომავალი წარმატებების უმთავრესი გარანტიც სწორედ თქვენ ხართ. დაბოლოს, მინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსის სრული რეაბილიტაცია დაიწყება. მადლობას გიხდით ამ შრომისათვის, კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და გისურვებთ წარმატებებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჰორიზონტი ევროპა“...

„უნივერსიტეტისთვის სრულიად ახალ პერსპექტივას ქმნის ისტორიული პროექტი – ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ახალი ჩარჩო პროგრამა Horizon Europe-ში საქართველოს ასოციერება, რომელსაც სულ ახლახან, საზეიმოდ მოეწერა ხელი ბრიუსელში“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ამ შეთანხმებით, საქართველოს წარმომადგენლები ისარგებლებენ ზუსტად ისეთივე პროგრამებით, პირობებითა და უფლებებით, როგორებითაც ევროკავშირის ქვეყნების სამეცნიერო და ინოვაციების სფეროს წარმომადგენლები სარგებლობენ.

„ტექნიკურ უნივერსიტეტში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიდი თანადგომით, დღეს დაფუძნდა „ჰორიზონტი ევროპის“ ოფისი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ქართველი მეცნიერების შესაძლებლობებს, სრულად მოახდინონ სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის რეალიზაცია. მათ შეეძლებათ, მონაწილეობა მიიღონ 95 მილიარდი ევროს ბიუჯეტის მქონე კვლევისა და ინოვაციის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში. მსგავსი პროექტები საქართველოს ევროპული საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელ ნაწილად ქცევას ემსახურება“.

ბოროტსა სძლია კეთილმან!..

კიდევ ერთხელ ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს“ მიერ დაფინანსებულ პროექტებზე

დადიანების სასახლის ახალი სიცოცხლე, ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის თეატრი, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, მარიონეტების, მოზარდ მაყურებელთა, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის და თავისუფალი თეატრები, ბათუმის, სენაკის და ოზურგეთის თეატრები, ეკლესია-მონასტრები, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დენდროლოგიური პარკი და სხვა — ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მასშტაბური პროექტებისა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სფეროში განახორციელა და შემდეგ ხალხს გადასცა საჩუქრად — ნათქვამია POSTV-ს სიუჟეტში, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს“ მიერ დაფინანსებულ საქველმოქმედო პროექტებს ეხება.

სიუჟეტის ავტორის თქმით, ბოლო 9 წელია ოპოზიციად წოდებული „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ტელევიზიები შენებას — ნგრევად, ხოლო ქველმოქმედებას ანგარებად წარმოაჩენენ და ბიძინა ივანიშვილის მიერ გაწეულ საქველმოქმედო საქმიანობას ისე ხატავენ, თითქოს ყველაფერს მხოლოდ პირადი კომფორტისთვის აკეთებს. თუმცა საზოგადოება არაერთხელ დარწმუნდა, რომ ნაცები გამუდმებით იტყუებიან და მათი მიზანი საზოგადოებისთვის დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებაა, ეს ყველაფერი კი იმისთვის კეთდება, რომ ხალხში შფოთი გამოიწვიონ.

სიუჟეტში საუბარია დადიანების სასახლეზე, სადაც კულტურის სამინისტროს ძალისხმევით ულამაზესი საშობაო მეჯლისი მოეწყო. ღონისძიება ძირითადად სასახლის ეზოსა და ნიკოსეულ სასახლეში ჩატარდა. აქვე ნაჩვენებია, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო სასახლე რესტავრაციამდე.

„ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით,ფონდმა „ქართუმ“ სასახლის რესტავრაცია დააფინანსა და დანგრევისთვის განწირულ შენობას ახალი სიცოცხლე შესძინა. დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოებზე 1 328 000 დოლარი დაიხარჯა. უკანასკნელი 9 წელია ოპოზიციად წოდებული „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ტელევიზიები შენებას — ნგრევად, ხოლო ქველმოქმედებას ანგარებად წარმოაჩენენ. ბიძინა ივანიშვილის მიერ გაწეულ საქველმოქმედო საქმიანობას ისე ხატავენ, თითქოს ყველაფერს მხოლოდ პირადი კომფორტისთვის აკეთებს.



თუმცა საზოგადოება არაერთხელ დარწმუნდა, რომ ნაცები გამუდმებით იტყუებიან და მათი მიზანი საზოგადოებისთვის დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდებაა. ცხადია, ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ხალხში შფოთი გამოიწვიონ, თუმცა POSTV-ის გუნდი ყოველთვის მზად არის, ასეთი ფეიკ რეპორტაჟები გამოააშკარაოს“, — ამბობს სიუჟეტის ავტორი და მაგალითად რამდენიმე რეპორტაჟი მოჰყავს.

„ყველაზე მეტი ფეიკ რეპორტაჟი დენდროლოგიურ პარკზე მოამზადეს. 3 წლის მანძილზე ამტკიცებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი პირად ეზოს იწყობდა, თუმცა მასშტაბური სამუშაოების შედეგი მოსახლეობამ საკუთარი თვალით ნახა. პარკი ყველა მსურველისთვის ღიაა და მისი დათვალიერება უსასყიდლოდ შეუძლიათ. გახსნის დღიდან პარკს 2 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა, რომელზეც ამბობდნენ, რომ საერთოდ ვერ აშენდებოდა. უკვე სტუდენტების ორი ნაკადი მიიღო და წარმატებით ფუნქციონირებს.

ფონდ ქართუს დაფინანსებით, მთელი საქართველოს მასშტაბით 800 ზე მეტ ისტორიულ ძეგლს, ეკლესია-მონასტერს ჩაუტარდა რესტავრაცია. ბიძინა ივანიშვილმა სოთბის და ქრისტის აუქციონზე შეიძინა და ეროვნულ მუზეუმს გადასცა საჩუქრად ფიროსმანის ორი ნახატი, „არსენალის მთა ღამით“ და „შველი წყლის პირას“. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მასშტაბური პროექტებისა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სფეროში განახორციელა და შემდეგ ხალხს გადასცა საჩუქრად. ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის დამსახურება ჩვენი ეროვნული იდენტობის გადარჩენისა და აღორძინების საქმეში მართლაც ფასდაუდებელია. ის ყველაფერი, რაც ივანიშვილების ოჯახმა დააფინანსა, ქართველ ხალხს და მომავალ თაობას დარჩება“...

კიდევ ერთი მასშტაბური პროექტი - გუდაურში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ გუდაურში, კომპანია „რედკო დეველოპმენტის“ პროექტ „ახალი გუდაურის“ მორიგი ეტაპის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

პროექტის ამ ეტაპზე 7 აპარტოტელის მშენებლობა დასრულდა, რომლის ჯამური ინვესტიცია 85 მილიონი ლარია. ნათია თურნავას თქმით, როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის აღდგენაზე თუ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდაზე, ამ მიღწევებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისეთი მასშტაბური პროექტების ზეგავლენა, უდიდესი წვლილი და შენატანი, როგორიც გუდაურში, „რედკო დეველოპმენტის“ მიმდინარე პროექტია.

მისივე განცხადებით, „რედკოს“ მასშტაბური პროექტი ძალიან ღირებულია როგორც ტურიზმის აღდგენაში შეტანილი უდიდესი წვლილის, ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ კოვიდპანდემიამ ვერ შეაფერხა განვითარების პროცესი.

„მიუხედავად კოვიდპანდემიისა, კომპანიამ დაასრულა სამუშაოები და შექმნა 150 მუდმივი სამუშაო ადგილი, სადაც დასაქმებულების უდიდესი უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებლები არიან. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ აპარტოტელების ჩათვლით, უკვე 5000 ახალი ოთახია შექმნილი, 2025 წლის ბოლოსკენ კი, როდესაც პროექტი სრულად დასრულდება, ეს ციფრი გაორმაგდება და კომპლექსი მოიცავს 10 000 ნომერს, რომელიც უმასპინძლებს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ტურისტებს“, — აღნიშნა ნათია თურნავამ.

დეველოპერული კომპანია „რედკოს“ 7 ახალი აპარტოტელი — Neo, Alpic და 4 Seasons Gudauri თიბისის მხარდაჭერით გაიხსნა. ახალი აპარტოტელები პროექტის — „ახალი გუდაურის“ ნაწილია და პრემიუმ კლასის 852 აპარტამენტს აერთიანებს. ჯამური ინვესტიცია 85 მილიონ ლარს შეადგენს, პროექტ „ახალი გუდაურის“ საერთო ინვესტიცია კი 200 მილიონი ლარია.

მსოფლიო დაემსგავსა გზააბნეულ მგზავრს!..

ცნობილმა ამერიკელმა დიპლომატმა და პოლიტოლოგმა Richard Haass-მა მსოფლიოში დღევანდელ მდგომარეობას გაურკვევლობის ხანა უწოდა და აღნიშნა, რომ ცივი ომის დროინდელი სისტემა დაიშალა, ხოლო ლიბერალურმა დასავლეთმა, ახლის შექმნა ვერ მოახერხა. მსოფლიო დაემსგავსა მგზავრს, რომელიც სწორ გზას ასცდა და დაბნეულად დაეხეტება. გზის გაგნება კი, ბევრ რამეზეა დამოკიდებული, და სიურპრიზიც, სავარაუდოდ, ბევრი გველოდება. პროგნოზების გაკეთება რომ სარისკო და უმადური საქმეა, ყველამ ვიცით, მაგრამ დასავლეთის ანალიტიკური კვლევების მოშველიებით, მაინც ვეცდებით იმის თქმას, თუ რას გვიქადის 2022 წელი საერთაშორისო არენაზე.

ცხადია, კაცობრიობის მთავარი დარდი და სატკივარი მაინც პანდემია და მასთან დაკავშირებული პრობლემებია. შედარებით ღარიბი და განვითარებადი ქვეყნები მკვეთრად ჩამორჩება დასავლეთს ვაქცინაციის ტემპებით. მაგალითად, 2021 წლის ბოლოსთვის, აფრიკაში მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტია აცრილი, და ისიც მხოლოდ ერთი დოზით. თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა ვაქცინაცია, მაშინ, აფრიკა მთლიანად ვაქცინირებული მხოლოდ 2023 წლის ბოლოსთვის იქნება. მეცნიერები კი გვარწმუნებენ, რომ აუცრელობის გამო ვირუსი ერთი ადამიანიდან მეორეზე გადასვლისას მუტაციას განიცდის. ესე იგი, დედამიწის მოსახლეობის რაც უფრო დიდი პროცენტი იქნება აუცრელი, მით უფრო მეტ მუტაციას ექნება ადგილი.

სწორედ ამ მეცნიერულ მოსაზრებას ექვემდებარება ვირუსის ახალი ვარიანტის, ომიკრონის, გამოჩენა. მეორე დიდი პრობლემა, რაც პანდემიამ გამოიწვია, გლობალური მასშტაბით ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაა. მსოფლიო ბანკის აზრით, 2022 წელს, ქვეყნების უმრავლესობაში მოიმატებს ინფლაცია, რაც, თავის მხრივ, ფასების ზრდასა და მოსახლეობის გაღარიბებას გამოიწვევს. ბევრ ქვეყანაში მოსალოდნელია სოციალური აფეთქებები, რაც დესტაბილიზაციის მიზეზად იქცევა.

ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად რჩება რუსეთისა და ჩინეთის დაპირისპირება დასავლეთთან. მეტოქეობა დიდ სახელმწიფოებს შორის ახლა უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ცივი ომის დროს. დასავლეთის ანალიტიკოსების აზრით, ამერიკასა და ჩინეთს შორის დაძაბულობა მოიმატებს. უკვე გაჩნდა ახალი ტერმინი, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ასახავს: ახალი ცივი ომი.

ჩინეთის ლიდერი თავის ქვეყანას განიხილავს როგორც მზარდი შესაძლებლობების ზესახელმწიფოს. ამერიკის პრეზიდენტმა კი ჩინეთთან პაექრობა ნომერ პირველ საქმედ გამოაცხადა. მან პირობა დადო, რომ ჩინეთთან ამ სტრატეგიულ კონკურენტულ ბრძოლაში ამერიკა გაიმარჯვებს. გაურკვეველია, რა ბედი ელის ტაივანს. დასავლეთს აშფოთებს ჩინეთისა და რუსეთის გაერთიანება თავის წინააღმდეგ, და ყველაფერს აკეთებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ასევე, შემაშფოთებელია რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის გამწვავება.

* * *

მსოფლიო უმიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მოლოდინშია. 10 იანვარს, ჟენევაში, ამერიკასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა. სტრატეგიული უსაფრთხოების დიალოგის ფარგლებში ერთმანეთს ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უენდი შერმანი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვი შეხვდნენ. ეს არის ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დიპლომატური მოლაპარაკებების ძირითადი არხი. 12 იანვარს კი, ბრიუსელში, ევროპის უსაფრთხოების საკითხთა განსახილველად, NATO-რუსეთის საბჭოს შეხვედრა მოეწყო, რომელშიც NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უენდი შერმანი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრ გრუშკო და რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრ ფომინი მონაწილეობდნენ.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 17 დეკემბერს რუსეთმა დასავლეთს უსაფრთხოების გარანტიების შესახებ მოთხოვნები წაუყენა. რუსეთი დაჟინებით ითხოვს NATO-ს აღმოსავლეთით გაფართოების გადაუდებელ შეჩერებას და ამ ჯერზე უკრაინას ემუქრება, ხოლო ამერიკა უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთს მძიმე ეკონომიკური სანქციებით აშინებს. ჯერჯერობით, მოლაპარაკებებმა წინ ვერ წაიწია. არცერთი მხარე ერთმანეთს არაფერს არ უთმობს, და არცაა გასაკვირი, რადგან საკითხი ორივე მხარისთვის ეგზისტენციალური მნიშვნელობის მატარებელია. ერთმანეთს ეკამათება ამერიკა და რუსეთი, ანუ ორი ზესახელმწიფო – ერთი მსოფლიო ლიდერის სტატუსით და მეორე მსოფლიო ლიდერობის პრეტენზიით. ეტყობა, ეს მოლაპარაკება შედეგს კიდევ დიდხანს ვერ გამოიღებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, უკვე განმუხტვის ერთგვარი ნიშანია. ევროპელი ექსპერტების აზრით, ამ შეხვედრებმა, შესაძლოა, ბიძგი მისცეს დასავლეთსა და რუსეთს შორის დიალოგის გაფართოებას, რადგან არცერთ მხარეს არ აძლევს ხელს სამხედრო ესკალაცია.

აშკარაა, რომ რუსეთი ამ ბოლო წლებში ერთი და იმავე სცენარით მოქმედებს. ესაა მოწინააღმდეგეში შიშის გამოწვევა და ომის ესკალაციის პროვოცირება. ასეთია რუსეთის ტაქტიკურ-სტრატეგიული სტილი. რუსეთი, როგორც წესი, რეგიონულ კრიზისებს თავის სასარგებლოდ იყენებს ხოლმე. მაგალითად, 2020-ი წლის შემოდგომაზე გამოიკვეთა, რომ რუსეთის პოზიცია ბევრ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში გაუარესდა: ბელორუსიაში ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს ჰქონდა ადგილი, რაც ალექსანდრე ლუკაშენკოს ეპოქის დასასრულს მოასწავებდა; მოლდოვაში სათავეში პროდასავლური ძალა მოვიდა; ყირგიზეთის ეგრეთ წოდებულმა ოქტომბრის რევოლუციამ ნაციონალისტი ლიდერების ახალი თაობის წარმოჩენა გამოიწვია, რომელსაც არასოდეს არ უმუშავია ძველ საბჭოთა სტრუქტურებში. სამხრეთ კავკასიაში კი, თურქეთის ძლიერი მხარდაჭერით აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღი დაიბრუნა. 2022 წლის დასაწყისში სულიად განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა: რუსეთის გავლენა გაძლიერდა, ოსტატურად იყენებს რა რეგიონულ კრიზისებს: ჩაერევა ხოლმე საქმეში, მაგრამ კრიზისის განმუხტვის ნაცვლად, პოზიციებს იმყარებს და თავის გავლენას აფართოებს. მარტო ყაზახეთის მაგალითი რად ღირს! ევროპა კი, განცვიფრებული უყურებს ყოველივე ამას. ევროკავშირის დაბნეულობა განპირებულია იმითაც, რომ ამერიკა ჩინეთთან პაექრობას განაგრძობს. ევროკავშირს კი, ლიდერობის პოტენციალი არ გააჩნია.

* * *

ტერმინი „სექსუალური რევოლუცია“ 1954 წელს სახელგანთქმულმა ამერიკელმა სოციოლოგმა პიტირიმ სოროკინმა გაახმიანა საჯაროდ. და იცით, რა თქვა? ამერიკაში დიიიდი უბედურება გამოჩნდა და ეს არის სექსუალური რევოლუციაო. ეს ასე იყო, მაგრამ არ მინდა ღვაწლი დავუკარგო ცნობილ გერმანელ ფსიქოლოგს ვილჰელმ რაიხსაც. სექსუალური რევოლუცია, როგორც ოფიციალური მეცნიერული ტერმინი, ყველაზე ადრე სწორედ მან გამოიყენა წინა ასწლეულის ოცდაათიან წლებში.

გახსოვთ, ალბათ, რომ სულ რაღაც სამოცდაათიოთხმოცი წლის წინანდელ საზოგადოებაში, ყველგან, მთელ მსოფლიოში, სექსუალურობას, როგორც ასეთს, და მის საჯარო გამომჟღავნებას მკაცრი ტაბუ ედო. და უცებ, სად იყო და სად არა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ სოციალური შებოჭილობისგან მსოფლიოს გათავისუფლება განიზრახეს. მანამდე, მოგეხსენებათ, საზოგადოებაში სექსზე ხმამაღლა ლაპარაკი, და მით უმეტეს, სექსუალურობის მიმანიშნებელი საქციელი მიუღებელი გახლდათ.

ყველაზე სამახსოვრო, თამამ და წინ გადადგმულ ნაბიჯად ამ მიმართულებით ითვლება ავად თუ კარგად ცნობილი გამომცემლის ჰიუ ჰეფნერის დაარსებულ ჟურნალ Playboy-ის პირველი ნომრის გარეკანზე ნახევრად შიშველი ამერიკელი მზეთუნახავის მერილინ მონროს ფოტოს გამოქვეყნება. ეს, რაც შეეხებოდა ფოტოხელოვნების გამაოგნებელ ნიმუშს! გამაოგნებელს იმ დროისთვის, რა თქმა უნდა! იქვე თავი იჩინა სექსუალური რევოლუციის ლიტერატურულმა ცდილობამაც. წიგნის თაროზე გამოჩნდა ვლადიმირ ნაბოკოვის ცნობილი ნაწარმოები „ლოლიტა“. წიგნები ხალხმა დაიტაცა და ზუსტად ისე გაოგნდა, როგორც შიშველი მერილინ მონროს სურათზე. ამერიკაში აგორებულმა რევოლუციურმა ტალღამ საფრანგეთსაც გადაუარა. გამოქვეყნდა ფრანსუაზა საგანის ცნობილი რომანი „სალამი, სევდავ“, რომელმაც მთლიანად შთანთქა ინტელექტუალური საფრანგეთი. უფრო მეტიც, მოდების უპოპულარესმა დიზაინერმა ივ-სენ-ლორანმა ომი გამოუცხადა გრძელ კაბას, რომელიც საკმაოდ შესამჩნევად აიტანა მუხლს ზემოთ. აღვირი აიხსნა კინემატოგრაფიამაც. 1956 წელს, ევროპისა და ამერიკის კინოეკრანებზე აჩვენეს ცნობილი ფრანგული ფილმი „ღმერთმა შექმნა ქალი“, რომელშიც მთავარ როლს თამაშობდა ფრანგებისა და, მე ვიტყოდი, მთელი მსოფლიოს საყვარელი მსახიობი ბრიჯიტ ბარდო.

ფილმი სამართლიანადაა მიჩნეული სექსუალური რევოლუციის დასაწყისად კინემატოგრაფიის დარგში. სექსუალური რევოლუციის მომძლავრებისა და აყვავების ხანა მაინც მეოცე საუკუნის სამოციან წლებზე მოდის. მაშინ, დასავლურ სამყაროში, მკვეთრად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი სექსუალურ ურთიერთობებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებული ახალგაზრდობა, ეგრეთ წოდებული ბეიბიბუმერები, ადამიანთა შორის ურთიერთობის მოძველებულ ტრადიციებს აღუდგნენ წინ. მათი გაგებით, სექსისა და სექსუალურობის თემა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო ტაბუსგან, რასაც იმით ხსნიდნენ, რომ სექსი ერთი ჩვეულებრივი ბუნებრივი ბიოლოგიური მოვლენაა და მეტი არაფერი. სწორედ მაშინ გავრცელდა ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეთა და რადიკალურ საზოგადოებრივ აქტივისტთა მიერ შექმნილი ცნობილი რევოლუციური გამოთქმა Make love, not war, რომელსაც მე, მაგალითად, ასე ვთარგმნიდი: სიყვარულს – კი, ომს – არა. მახსოვს, იმ მქუხარე სამოციან წლებში, მეც მქონდა ამერიკელთა მიერ ნაჩუქარი დიდი მრგვალი სამკერდე ნიშანი ზუსტად ასეთი მოწოდებით: Make love, not war. სექსუალურ რევოლუციაში ძალიან დიდი როლი ითამაშა მაშინდელმა გარლვევამ მედიცინის დარგში. დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ: რომ არა ეს გარღვევა, სექსუალური რევოლუცია ვერ გაგრძელდებოდა. ანტიბიოტიკების გამოჩენამ დაამარცხა ბევრი ვენერიული სნეულება. მანამდე, ამ გადამდები ავადმყოფობით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იღუპებოდა. ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოჩენამაც მოხსნა სექსთან დაკავშირებული პრობლემები, ანუ ქალები გაათამამა ორსულობის შიშის კლებამ. 1960-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა, ანუ დრო, როცა ახალგაზრდა თაობა მშობლებს აუჯანყდა. ისინი მოითხოვდნენ ცხოვრების არსებული წესის რადიკალურ ცვლილებას, ოცნებობდნენ სიამოვნებაზე, თავისუფლებაზე და გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლობაზე. იმძლავრა ჰიპების მოძრაობამ, რომელსაც ათასობით ბიჭი და გოგონა შეუერთდა, თუ მილიონობით არა. ისინი თავისუფალი ცხოვრების სტილს ქადაგებდნენ: ჩავიცვამ, როგორც მინდა და მოვიქცევი როგორც მსურს, მინდა ვიშრომებ და მინდა არა. თუმცა, მათი მრწამსიც ბევრ რამეში სუსტი და მყიფე იყო. მახსოვს, ერთხელ, ამერიკაში, ჰიპების ჯგუფს მივუახლოვდი და ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, რატომ უნდა ჭამდე თუ არ შრომობ-მეთქი. პასუხად სამარისებური სიჩუმე მივიღე.

ასეა, ალბათ, საქმე იმ სექსუალურ რევოლუციაშიც: გადაჭარბებულ თავისუფლებას შესაბამისი თავისტკივილიც მოჰყვება ხოლმე. ვიეტნამში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად გაზარდა მეამბოხეთა რიგები, რომლებიც, როგორც წესი, ომს გმობდნენ და თავისუფალი სიყვარულისკენ მოუწოდებდნენ ხალხს. მათ შორის იყვნენ ისეთი გიგანტური ფიგურები, როგორებიც არიან ჯეინ ფონდა და მუჰამედ ალი. საზოგადოებაში ნორმად იქცა ქორწინების გარეშე თანაცხოვრება, რაც დღემდე ინარჩუნებს არსებობის უფლებას. და მაინც, მიუხედავად ასეთი თავისუფლებისა, იგივე ამერიკასა და ევროპაში, ადამიანთა, განსაკუთრებით, ქალთა უმრავლესობა, მაინც ოფიციალური ქორწინებისა და მყარი დაოჯახებისკენ ილტვის...

ნუგზარ ბ. რუხაძე,
ჰუხTV

მარნეულში გაზრდილი მეცნიერის ძვირფასი წიგნი

„მშობიარობის შემდგომი პერიოდის ინფექციურ-ანთებითი გართულებების ადრეული პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის თანამედროვე ასპექტები“

მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიის განყოფილების გამგის, მედიცინის აკადემიური დოქტორის, დოცენტ ფატიმა რასიმის ასულ გაჯიევას წიგნი ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებულებით გამოიცა.

წიგნში, რომელიც ხანგრძლივი და დაძაბული სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, ავტორი იკვლევდა ნამშობიარევ ქალებში ინფექციური პროცესების რისკ-ფაქტორებს, კლინიკას, გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდებს. ავადმყოფების საკმაოდ დიდი ჯგუფის შესწავლის საფუძველზე შესრულებული კვლევითი ნაშრომის მეცნიერული დაფუძნების მიზნით ჩატარებული გამოთვლები და ანალიზი მათემატიკური სტატისტიკის მეთოდს ემყარებოდა. სამედიცინო ბიოლოგიაში ცნობილი ახალი – რამანოვის სპექტროგრაფიის მეთოდის მეშვეობით ფ. გაჯიევმა დიდ შედეგებს მიაღწია ქალთა ჯგუფებში ინფექციური პროცესების გამოკვლევის სფეროში. ავტორმა დაამტკიცა აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა ნამშობიარევ ქალებში ინფექციური, ანთებითი პროცესების გამოვლენაში მაღალი ეფექტურობის, ინფორმატიულობისა და, აგრეთვე ანტიინვაზიურობის თვალსაზრისით.

წიგნი, როგორც მეცნიერული მონოგრაფია, მშობიარობის შემდგომ გართულებებს შეეხება, რომლებიც მეანობისა და გინეკოლოგიის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მეცნიერული სიახლისა და პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით, მონოგრაფია განკუთვნილია თანამედროვე მეან-გინეკოლოგთათვის, აგრეთვე იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლება აქვთ სამედიცინო სფეროში.

* * *

ჰაჯიევა ფატმა რასიმ ყიზი, ფილოსოფიის დოქტორი მედიცინაში, ასოცირებული პროფესორი.

დაიბადა 1979 წლის 15 სექტემბერს საქართველოში, ქალაქ მარნეულში. 1985-1995 წლებში სწავლობდა ბაქოს საბაილის რაიონის მე -7 სკოლაში. 1995 წელს ჩაირიცხა ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო და პრევენციულ ფაკულტეტზე, რომელიც 2001 წელს წარჩინებით დაამთავრა.

2001-2002 წლებში გაიარა სტაჟირება ქალაქის №4 კლინიკურ საავადმყოფოში.

2005 წელს მან დაასრულა კლინიკური ორდინატურა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის დეპარტამენტში, ნარიმან ნარიმანოვის სახელობის მეან-გინეკოლოგად, მას მიღებული აქვს მეან-გინეკოლოგის სპეციალობა. 2008 წელს მიიღეს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის „გინეკოლოგიის“ განყოფილების უმცროს მკვლევრად. 2008 წელს გაიარა სამეანო და გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სადისერტაციო პროგრამა, 2013 წელს დაიცვა დისერტაცია, იმავე წელს მიიღო დოქტორის წოდება სამედიცინო მეცნიერებათა დარგში.

2018 წელს არჩეულ იქნა სამეანო და გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო მეანობის განყოფილების უფროს მკვლევრად.

ამჟამად მუშაობს მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის გინეკოლოგიის განყოფილების დირექტორად. 2017 წელს ფ. ჰაჯიევა შევიდა სადისერტაციო პროგრამაში, ნარიმან ნარიმანოვის სახელობის აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერებათა დოქტორის პროგრამაში, დამტკიცდა მისი სადოქტორო ნაშრომი – „მშობიარობის შემდგომი მძიმე ინფექციური ანთების ადრეული პროგნოზის თანამედროვე ასპექტები“.

2020 წლიდან ის ასწავლის მეანობასა და გინეკოლოგიას მოსკოვის პირველი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაქოს ფილიალში. არის სამეანო და გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ფ. ჰაჯიევა არის ორი სახელმძღვანელოს და 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 2011 წელს ინგლისში გამართულ მეან-გინეკოლოგთა და ანდროლოგთა I კონგრესზე, სამეცნიერო მუშაობის შედეგების შესახებ პოსტერის პრეზენტაცია, დაჯილდოვდა ოქროს მედლით. 2020 წელს „დედე გორგუდის“ ეროვნულმა ფონდმა მას მიანიჭა „ოქროს გულის“ მედალი.

არჩილ გოკიელი,
ქ. მარნეული

მილოცვა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ულოცავს გამოჩენილ მეცნიერსა და პედაგოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ ივანე კილურაძეს დაბადებიდან 85 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შემოქმედებით გამარჯვებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

◎ ჩვენი ისტორიოგრაფიის შენაძენი

ქართული დიპლომატიის წელიწდეული

მე-19 ტომის გამოსვლის გამო

2021 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ დაბეჭდა მე-19 ტომი კრებულისა „ქართული დიპლომატია. წელიწდეული“ (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი).

კრებული 612 გვერდს მოიცავს. 1994 წელს, როდესაც ბატონი როინ მეტრეველის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით „ქართული დიპლომატიის წელიწდეულის“ პირველი ტომი გამოვიდა, სკეპტიკოსებმა იმთავითვე დასვეს კითხვა: ქართველ ისტორიკოსებში მოიძებნებოდნენ კი ისეთი ავტორები, რომლებიც ქართული სინამდვილისათვის ამ უნიკალურ გამოცემას აცოცხლებდნენ? როინ მეტრეველს ყველაფერი კარგად ჰქონდა გათვლილი, მისი ინიციატივით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძირითადად ახალგაზრდა, დამწყები ისტორიკოსების ძალებით შეიქმნა დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც შემდეგში დიპლომატიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრად გადაკეთდა. ლაბორატორიასა და ცენტრში ახალგაზრდა მკვლევარებთან: ბუბა კუდავას, ჯაბა სამუშიასა და სხვებთან ერთად როინ მეტრეველმა სამუშაოდ მიიწვია უკვე ცნობილი ისტორიკოსები: ზურაბ პაპასკირი, გივი ბოლოთაშვილი და სხვები. ქართული დიპლომატიის მომდევნო ტომებში გამოქვეყნებული მასალა სწორედ ლაბორატორიისა და ცენტრის თანამშრომლებს ეკუთვნოდათ. ასე მომზადდა ქართული დიპლომატიის ისტორიის სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ქართული დიპლომატიის წელიწდეულის ცხრამეტი ტომი უკვე გამოქვეყნებულია, ეს დიდი გამარჯვებაა, მით უფრო, რომ კრებულის გამოცემა შეუფერხებლად გაგრძელდება (უკვე მზადდება მე-20 ტომი).



წელიწდეულის მე-19 ტომი თავისი შინაარსით მრავალფეროვანია. კრებული დაყოფილია განყოფილებებად: საქართველოს შუა საუკუნეების დიპლომატია, ახალი პერიოდის დიპლომატია, უახლესი პერიოდის დიპლომატია; მსოფლიო დიპლომატიის ისტორია; ისტორიოგრაფია. წელიწდეულში ოცზე მეტი ავტორია წარმოდგენილი, მათ შორის: როინ მეტრეველი, ელდარ მამისთვალიშვილი, ნინო ჯაველიძე, ვახტანგ გურული, ჯაბა სამუშია, გვანცა ბურდული, შოთა ვადაჭკორია, ალექსანდრე დაუშვილი, ჯემალ კარალიძე და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აკად. როინ მეტრეველის „ბედი კავკასიური ცივილიზაციისა“, ნინო ჯაველიძის „ჯვაროსნობა საქართველოს მეფეთა თვალსაწიერში“, ელდარ მამისთვალიშვილის „დიპლომატია– საქართველოს მთავარი გზის საერთაშორისო გზების სისტემაში ჩართვისათვის (XVII ს.)“, ვახტანგ გურულის „ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარების სამართლებრივი საფუძვლები“, გვანცა ბურდულის „პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვლადიმერ ბენეშევიჩის მოღვაწეობის შეფასებისათვის“ და სხვ.

წელიწდეულის პირველ ტომებში სჭარბობდა ქართული დიპლომატიის ისტორიის ძველი და შუა საუკუნეების პერიოდისადმი მიძღვნილი ნაშრომები. შემდგომში თანდათან იმატა იმ ნაშრომთა რაოდენობამ, რომლებიც XIX-XX საუკუნეთა მოვლენებს შეეხებოდა, რისი დამადასტურებელიცაა ჯემალ კარალიძის „საქართველო-ოსმალეთის 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის საზავო ხელშეკრულება“, შოთა ვადაჭკორიას „ქუთაისის 1921 წლის 17-18 მარტის მოლაპარაკება“; რევაზ გაჩეჩილაძის „გეოპოლიტიკა და დიპლომატია სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის საზღვრების ჩამოყალიბებისას 1921 წელს“, ასევე იმატა ისეთი ნაშრომების რიცხვმა, რომლებშიც მსოფლიო დიპლომატიის ისტორიის საკითხებია გაშუქებული. ამის დადასტურებას წარმოადგენს წელიწდეულის მე-19 ტომში გამოქვეყნებული გივი ლობჟანიძის „საერთაშორისო ურთიერთობები ევროპულ-ქართული სამართლის წყაროთა კონტექსტში“ და ირინა ყიფიანის „ყირიმელი თათრების წინაშე არსებული გამოწვევები დეპორტაციიდან დღემდე“.

წელიწდეულის მე-19 ტომში დაბეჭდილი მასალიდან ყურადღებას იმსახურებს ალექსანდრე დაუშვილის „საეროვნებათაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი საქართველოს სოფელში XX საუკუნის 20-იან წლებში“, კონსტანტინე გურულის „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება“.

წელიწდეულში დაბეჭდილია საყურადღებო დოკუმენტი, საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩის, ფაიგ გულიევის სიტყვა, რომელიც მან 2021 წლის 17 მარტს წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულ კონფერენციაზე: „ქართულ-აზერბაიჯანული სტრატეგიული პარტნიორობა, როგორც მშვიდობისა და სამხრეთ კავკასიის განვითარების ფაქტორი“.

ქართული დიპლომატიის წელიწდეულის მე-19 ტომი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, იგი უეჭველად დაიმსახურებს პროფესიონალი ისტორიკოსებისა და, საერთოდ, ფართო საზოგადოების ყურადღებას.

ზეგედე
ტომარაძე



ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ 1922 ᲬᲔᲚᲘ

ᲖᲐᲙᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ – ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ისედაც ფორმალური დამოუკიდებლობიდან თითქმის აღარაფერი დატოვა 1922 წელმა, როცა საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ კი სსრკ-ში შეიყვანეს.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას იწონებდა რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც წინააღმდეგობას უწევდა ქართველი კომუნისტების ერთი ჯგუფი, რომლის წევრებიც „ნაციონალ-უკლონისტებად“ მოინათლნენ. თავიდან ისე ჩანდა, თითქოს იდეა ვლადიმირ ლენინს ეკუთვნოდა, თუმცა სინამდვილეში მისი სულის ჩამდგმელები იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე იყვნენ

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნით საქართველო დაიჩაგრა როგორც ტერიტორიული თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკურადაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე სომხეთის ან აზერბაიჯანისა. 1921-1922 წლებში სამივე რესპუბლიკას თავისი ფულის ნიშანი (ბონი) ჰქონდა. როცა ერთიანი საამიერკავკასიო ფულის ნიშნები შემოიღეს, ერთიანი საამიერკავკასიო საბჭოთა ფულის 1 მანეთი გაიცვლებოდა ქართული ბონის 1 მანეთზე, აზერბაიჯანული საბჭოთა ფულის 100 მანეთზე და სომხური საბჭოთა ფულის 150 მანეთზე. ბუდუ მდივნის მოწმობით, 1922 წლის 8 თვის განმავლობაში ქართული ბონი თავისი სიმტკიცით ტოლს არ უდებდა აშშ დოლარსა და ინგლისის ფუნტ სტერლინგს. ასე რომ, სამეურნეო გაერთიანება საქართველოს დიდად არ აძლევდა ხელს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება 1922 წელს 12 მარტს დაიდო – სწორედ ეს დღე ითვლება ამიერკავკასიის ფედერაციის – ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის **(ასსრფკ)** – შექმნის თარიღად.

საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით, **ასსრფკ**-ის შექმნის აუცილებლობა მოტივირებული იყო რესპუბლიკათა შორის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის აუცილებლობით, თავდაცვისა და სამეურნეო მშენებლობის ინტერესთა ერთიანობით, თუმცა დრომ, მომავალმა 100-მა წელმა აჩვენა, რომ ფედერაციამ ვერცერთი პრობლემა არსებითად ვერ გადაჭრა და, რომ მაშინ გავლებული საზღვრების გამო დღემდე მიდის მეზობელ ქვეყნებს შორის დავა.

ასსრფკ-ის შექმნიდან, სულ რაღაც, 8 თვის თავზე გადაწყდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კიდევ უფრო მეტად ინტეგრაცია, რაც გამოიხატა „ფედერაციული კავშირის“ ნაცვლად „ფედერაციული რესპუბლიკის“ შექმნაში.

მამია ორახელაშვილი

ალ. გეგეჭკორი

ბუდუ მდივანი

ფორმალური გადაწყვეტილება თვითონ რესპუბლიკებმა მიიღეს, როცა განაცხადეს:

„ამიერკავკასიის ფედერაციამ თავისი არსებობის 8 თვის მანძილზე დაამტკიცა არა მარტო თავისი სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მისწრაფება ამიერკავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისკენ, აგრეთვე მისწრაფება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მათი ძმური ერთიანობისკენ“.

1922 წლის 10 დეკემბერს, ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ ოფიციალურად გადაწყვიტა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირზე გადასულიყო და შეექმნა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. ამ ცვლილების თანახმად, ამიერკავკასიის რესპუბლიკებს – საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს – ფედერაციის შემადგენლობიდან ცალმხრივი აქტით გასვლის უფლება არ ჰქონდათ (აფხაზეთის სახელშეკრულებო სს რესპუბლიკა ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს მეშვეობით შედიოდა).

სერგო ორჯონიკიძე ამბობდა, ამიერკავკასიის ფედერაციის ვარსკვლავი მხოლოდ მაშინ გაფერმკრთალდება, როცა საერთოდ ყველა სახელმწიფო გაქრებაო. არადა, ყველას ესმოდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც, სხვათა შორის, სერგოზე ერთი წლით ადრე, 1936 წელს დაასრულა არსებობა, ფაქტობრივად, სამი არარუსული რესპუბლიკისგან შემდგარი ერთი რუსული პროვინციის შექმნის მცდელობა იყო.

ᲡᲡᲠᲙ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲖᲔ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ: ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

1922 ᲬᲚᲘᲡ აგვისტოში რუსეთის კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა „დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკებისა“ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. სწორედ ამ დროს გამოიკვეთა საბჭოთა რესპუბლიკების ე.წ. ავტონომიზაციის იდეა, რომელიც უკრაინის კომპარტიის მდივან დ. მანუილსკის ეკუთვნოდა და, რომელიც საეჭვოდ აიტაცეს იოსებ სტალინმა, სერგეი კიროვმა და სერგო ორჯონიკიძემ.

„არც სრული დამოუკიდებლობა და არც „დამოუკიდებლობის“ სრული მოსპობა“, – ასეთი იყო სტალინის მიერ შედგენილი ავტონომიზაციის პირველი პროექტის შინაარსი.

„აუცილებლად იქნა მიჩნეული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების: უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ფორმალური შესვლა რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში“, – ამბობდა იოსებ სტალინი, რომელსაც საქართველოში მხარი დაუჭირეს შალვა ელიავამ, მამია ორახელაშვილმა, ალექსანდრე გეგეჭკორმა და სხვებმა.

საქართველოს ცკ-მა, რომელშიც უმრავლესობა ე.წ. ნაციონალ-უკლონისტები იყვნენ, არ მოიწონა ავტონომიზაციის პროექტი.

„ვინ იცის, რომ არა ეს პრინციპულობა, ავტონომიზაციის პროექტს წინ არაფერი დაუდგებოდა“, – ამბობს ისტორიკოსი ლევან თოიძე თავის კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1921-1923 წწ.“.

ავტონომიზაციის პროექტი მოიწონეს ამიერკავკასიის სამხარეო და აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალურმა კომიტეტებმა.

სტალინის პროექტის ჩავარდნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა „ნაციონალ-უკლონისტების“ აქტიურობამ და ვლადიმირ ლენინმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსულტის შემდეგ ნახევრად პარალიზებული იყო, 26 სექტემბერს, ავტონომიზაციის საკითხზე, 2 საათი და 40 წუთი ელაპარაკა ბუდუ მდივანს – სტალინის მთავარ ოპონენტს ავტონომიზაციის საკითხში.

სწორედ 26 სექტემბერს იცვლება სტალინის პროექტი, რომელშიც ლაპარაკი აღარ არის რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს, რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე, თუმცა სტალინის პროექტის ახალ ვარიანტში ჩნდება ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკა, არადა, ლენინის მიერ შეთავაზებულ ვარიანტში საუბარი იყო ცალკეული რესპუბლიკების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კავშირში დამოუკიდებლად შესვლაზე. სხვათა შორის, თავიდან ლენინის შესწორებაში ლაპარაკი იყო არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე, არამედ **„ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე“**, თუმცა ეს იდეაც (დასახელებაში ევროპა-აზიის ხსენებისა) სტალინმა უკუაგდო.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახით კავშირში შესვლა, საქართველოს უზღუდავდა კავშირიდან გასვლის უფლებას და ისედაც არათანაბარ პირობებში აყენებდა იმავე უკრაინასა და ბელორუსიასთან მიმართებით, არადა საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო, რომლის დამოუკიდებლობა აღიარებული ჰქონდა როგორც თვითონ რუსეთს, ასევე ევროპის ქვეყნებსაც. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-მა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და მთელი შემადგენლობით გადადგა.

ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მეშვეობით სსრ კავშირში საქართველოს შესვლის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 10 დეკემბერს გაიმართა. სერგო ორჯონიკიძის მოხსენების საფუძველზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, სსრ კავშირის შექმნა და მასში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციის გზით, დროული და აუცილებელი ღონისძიებაა.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ აირჩია საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები, რომელთა შორის იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, კიროვი და სხვები.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. სსრ კავშირის შექმნის შესახებ მოხსენებით გამოვიდა იოსებ სტალინი. ყრილობამ დაამტკიცა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო სსრკ კონსტიტუციას.

საქართველოს სსრ-მ საბჭოთა კავშირის დატოვების ფორმალური უფლება მხოლოდ 1936 წელს მოიპოვა, მას შემდეგ, რაც, სტალინის ნებართვით, არსებობა შეწყვიტა ზაკფედერაციამ, თუმცა ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლებას უკვე დაპატიმრებული, გაძევებული ან დახვრეტილი ჰყავდა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ყველა მეტ-ნაკლებად წონიანი პოლიტიკოსი, პოლიტიკური საქმიანობის უფლებაც მხოლოდ ერთადერთ პარტიას – კომუნისტურ პარტიას ჰქონდა.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. № 6, 7

ᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠ ᲐᲛᲑᲝᲡᲡ 225 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ აქციების დროს ყაზახეთში 225 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ქვეყნის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა.

„მათი ნაწილი შეიარაღებული ბოროტმოქმედები არიან, რომლებიც ტერაქტებში მონაწილეობდნენ. დაღუპულთა შორის 19 პოლიციელი და სამხედრო პირია. სამწუხაროდ, ტერორიზმის აქტებს მშვიდობიანი მოქალაქეებიც ემსხვერპლნენ“, – განაცხადა სერიკ შალაბაევმა.

„ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ“ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ყაზახეთში დაწყებული მასობრივი არეულობების შემდეგ, „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ ეგიდით გადასროლილი ძალები, უკან, ქვეყნის ტერიტორიაზე დაბრუნდნენ. „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“ სამშვიდობო ძალების რვა ერთეული თვითმფრინავი ივანოვოს აეროდრომზე დაეშვა და ისინი მუდმივი განთავსების ადგილებს დაუბრუნდებიან“, – ნათქვამია რუსეთის თავდაცვის უწყების ინფორმაციაში.

მანამდე, ივანოვოსა და ჩაკლოვსკის აეროდრომებზე უკვე დაეშვა ყაზახეთიდან გამოფრენილი რვა ერთეული თვითმფრინავი, რომელთა გამოყენებით რუსული სამხედრო ძალები დაბრუნდნენ ქვეყანაში. 5 იანვარს ყაზახეთის პრეზიდენტის ყასიმ-ჟომართ თოყაევის მიმართვის საფუძველზე დაწყებული არეულობების საპასუხოდ, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, „კუხოს“ ეგიდით, 2 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჩავიდა.

ᲐᲚᲘᲔᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ᲝᲓᲙᲑ-ს წინააღმდეგ მკვეთრი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სომხეთიდან აგრესიულ ქმედებას ადეკვატური პასუხი მოჰყვება, რასაც ᲝᲓᲙᲑ-ს კონტინგენტი ვერ შეაჩერებს.

ის ერევანს განადგურებით დაემუქრა და შეახსენა ყარაბაღში მიმდინარე 44-დღიანი ომი, რა დროსაც აზერბაიჯანმა სომხური ქვედანაყოფები ფაქტობრივად მიწასთან გაასწორა და აღნიშნა, რომ მათ სხვა ქვეყნები ვერ დაეხმარებიან.

„დავინახავთ მცირე საფრთხეს და გავანადგურებთ, მათ ეს უნდა ესმოდეთ. ალბათ ᲝᲓᲙᲑ-ს დახმარების იმედი აქვთ, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენ. ვერავინ და ვერაფერი შეგვაჩერებს, როგორც ეს ყარაბაღის მეორე ომის დროს მოხდა,“ – განაცხადა მან.

რამდენად მარტივია შვილად აყვანის პროცედურა საქართველოში?!

ბავშვის აყვანის გადაწყვეტილება წყვილისთვის რთულად მისაღებია, განხორციელება კი – უფრო რთული.

საქართველოს რეალობაში შვილის აყვანა ძირითადად იმ ოჯახებს სურთ, რომლებსაც საკუთარი შვილები არ ჰყავთ. მათ სურთ ბავშვის შვილად აყვანა, მაგრამ აქვთ მოთხოვნებიც, სადაც უმთავრესი ბავშვის ასაკი (0-3 თვე) და მისი ჯანმრთელობაა. დღეს საქართველოში 2 313 მშვილებელი პირია (ოჯახია) დარეგისტრირებული. გასაშვილებლის სტატუსი კი მხოლოდ 221 ბავშვს აქვს მინიჭებული. მათ შორის, 154 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ამ ფონზე კი, შვილის აყვანის მსურველებს წლობით რიგში დგომა უწევთ და ბავშვებისთვის გასაშვილებლის სტატუსის მინიჭება დროში უსაშველოდ იწელება. დროდადრო საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება ჩვილების უკანონო გაშვილება (გაყიდვის) ფაქტებიც!

ბავშვები მშობლების გარეშე

საქართველოში ბავშვთა სიღარიბე და მათზე ძალადობა თვალნათელია. 2020 წელს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმა 0-17 წლის არასრულწლოვნების 26.4% ცხოვრობდა. ხშირია ოჯახში ბავშვებზე ძალადობის ფაქტებიც, თუმცა, ამ ფონზეც კი, ბავშვის გაშვილებაზე ოფიციალურ თანხმობას მშობლების მცირე ნაწილი აცხადებს.

გაშვილების სტატუსს ძირითადად, შშმ ბავშვები იღებენ. მათი შვილად აყვანის მსურველი კი ძალიან ცოტაა. ისინიც, უმეტესად ისეთ ბავშვებზე აცხადებენ თანხმობას, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორებადია.

სოციალური მომსახურების სააგენტოში განგვიმარტეს, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ 224 ბავშვს მიენიჭა გასაშვილებლის სტატუსი. უკვე ცნობილია, რომ მათგან 53 ბავშვის მიმართ არ არსებობს მშვილებლის მოთხოვნა. მიზეზი ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობაა. ამავე პერიოდში 171 ბავშვი გაშვილდა, მათგან 11 უცხოეთში. ამასაც კანონი არეგულირებს. **„უცხოეთში 11 გაშვილებულიდან ყველა შშმ პირია. კანონმდებლობით საერთაშორისო გაშვილებას ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და ბავშვის გასაშვილებელი სტატუსის მინიჭებიდან რვა თვის განმავლობაში მისი გაშვილება საქართველოში ვერ მოხერხდა“,** – განმარტავენ სააგენტოში. აღსანიშნავია, რომ 10 წლის ან მეტი ასაკის ბავშვის გაშვილებას თავისივე თანხმობა სჭირდება. სხვა შემთხვევებში მშობელმა (მშობლებმა) ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბავშვის გაშვილებაზე თანხმობა სპეციალური დოკუმენტით უნდა დაადასტურონ.

რა უნდა გააკეთონ მათ, ვისაც ბავშვის შვილად აყვანა სურს?

ბავშვის შვილად აყვანის მსურველებს რამდენიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება უწევთ. მათ შორის სპეციალური მოსამზადებელი კურსების გავლა. ამ გზით მშობლების მომზადება და იმის გარკვევა ხდება, არიან თუ არა მზად, ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, მათ უკეთესი გარემო შესთავაზონ.

მშვილებელი შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები, სრულწლოვანი პირი, რომელიც დარეგისტრირდება მშვილებელთა რეესტრში და მიიღებს შეფასებას. შვილად აყვანა რიგითობის მიხედვით ხდება, გამონაკლისია სისხლით ნათესავები. შვილად აყვანის უპირატესი უფლებით სარგებლობს მშვილებელი, ვისაც მეუღლის შვილის შვილად აყვანა სურს, ასევე ის პირი, რომელსაც უკვე აყვანილი ჰყავს შვილად გასაშვილებელი ბავშვის დედმამიშვილი.

არის კრიტერიუმები, რის გამოც პირს შესაძლოა, ბავშვის შვილად აყვანა აეკრძალოს. მაგალითად, პირს, რომელსაც ჩამოერთვა მშობლის უფლება ან ადრე ჰყავდა შვილად აყვანილი ბავშვი, იყო არასრულწლოვანი პირის მეურვე (მზრუნველი) ან მინდობით აღსაზრდელად გადაცემული ჰყავდა აღსაზრდელი, მაგრამ ეს ურთიერთობა გაუქმდა მის მიერ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო.

ცვლილებები კანონში და მოუგვარებელი პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში ბოლო წლებში არაერთი ცვლილება შევიდა, ვითარება მკვეთრად ვერ გამოსწორდა. მიზეზი მშვილებლებსა და გასაშვილებელ ბავშვებს შორის მკვეთრი დისბალანსია.

„შვილად აყვანის სფეროს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მშვილებელთა რაოდენობა, რომელიც შესაბამისობაში არ მოდის გასაშვილებელი ბავშვების რაოდენობასთან. ვინაიდან გასაშვილებელი ბავშვები ძირითადად არიან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და ბავშვების ასაკიც არ შეესაბამება მშვილებლების მოთხოვნებს. მშვილებელი ოჯახის (პირის) ბავშვის შვილად აყვანის მოლოდინის რეჟიმი დამოკიდებულია თავად მშვილებლის მოთხოვნასა და გასაშვილებელ ბავშვთა ერთიან რეესტრში განთავსებული ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ბავშვისა და მშვილებლის თავსებადობაზე“, – განმარტავენ სოციალური მომსახურების სააგენტოში.

61 წლის ქალი და მისი 24 წლის ქმარი შვილის ყოლას გეგმავენ

ამერიკელები, 24 წლის ქურანი მაქქეინი და მისი 61 წლის მეუღლე შერილ მაკგრეგორი გასული წლის სექტემბერში დაქორწინდნენ და ახლა ამბობენ, რომ სრულფასოვანი ოჯახის შესაქმნელად მზად არიან. შერილის ასაკიდან გამომდინარე, მათ არჩევანი სუროგაციაზე შეაჩერეს. **„სუროგატ დედას ვეძებთ, რომელიც მზად იქნება კონტრაქტს მოაწეროს ხელი და ბავშვის გაჩენის შემდეგ ჩვენთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეს. არ გვინდა ხალხმა ჩვენი ბავშვი ფინანსური სარგებლის მისაღებად გამოიყენოს“,** – განაცხადა ქურანმა.

თუმცა, წყვილი არც ბავშვის შვილად აყვანას გამორიცხავს. ამასთან, შერილს უკვე ჰყავს 7 შვილი და 17 შვილიშვილი. შერილმა და ქურანმა ერთმანეთი 2012 წელს, რესტორანში მუშაობისას გაიცნეს. მაქქეინი მაშინ 15 წლის იყო, თუმცა რომანტიკული გრძნობები მათ შორის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაჩნდა – მათი რომანი 2020 წელს დაიწყო.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით ცუხიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით ცუხიშვილი (პ/ნ 38001000072), თბილისი, მარშალ იოზეფ პილსუდსკის №9, სართული 12, ბინა №121

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მარშალ იოზეფ პილსუდსკის №9, სართული 12, ბინა №121 (საკადასტრო კოდი: 01.17.07.024.050.01.01.121).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 107627.71 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 17 იანვარი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 31 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76658522;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 766585

6. **მოვალე:** დავით ცუხიშვილი (პ/ნ 38001000072), თბილისი, მარშალ იოზეფ პილსუდსკის №9, სართული 12, ბინა №121.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76658522; ლოტის ნომერი: 766585).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 31 იანვრის 10:00 საათამდე.

◎ სუმო

დადებით ბალანსზე

ძართველი სუმოისტი ლევან გორგაძე ჰაცუ ბაშოზე ნელ-ნელა კონდიციებს იბრუნებს და გუშინ ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ტოჩინოშინის მეტოქე მცირეწონოსანი ტერუცუიოში იყო, რომელსაც იორიკირის ილეთით აჯობა.

მე-11 მაეგაშირას დამარცხება ჩვენებურისთვის ადვილი გამოდგა. „ტოჩიმ“ შერკინებისთანავე მოიპოვა უპირატესობა, მეტოქის მავაშში ხელის ჩავლებას ცდილობდა, რაც ნაწილობრივ გამოუვიდა და დოჰიოს მიღმა გადაიყვანა. აღსანიშნავია, რომ ლევანი წინა ორთაბრძოლის მსგავსად იორიტაოშის გაკეთებას ცდილობდა. ეს აღნიშნული წყვილის მე-7 დაპირისპირება იყო და ჩვენებურმა მოგება-წაგების ბალანსი 3:4-მდე შეამცირა.

ამრიგად, ტოჩინოშინს 4 მოგების წილ ამდენივე მარცხი აქვს და დადებითი ბალანსისთვის იბრძვის. ქართველ სპორტსმენს ამისთვის კიდევ 4 გამარჯვების მოპოვება სჭირდება, მისი დღევანდელი მეტოქე კი მე-14 მაეგაშირა კოტონოვაკა იქნება, რომელსაც აქამდე 5-ჯერ შეხვდა და 3 მოიგო, 2 შეხვედრაში კი დამარცხდა.

◎ ფორუმის წინ

გენერალური რეპეტიცია

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები 2022 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში ბოლო ამხანაგურ მატჩებს თბილისში მართავს. ავთანდილ ასათიანის გუნდი ტაჯიკეთის ეროვნულ ნაკრებს თბილისის სპორტის სასახლეში შეხვდა და დამაჯერებელი ანგარიშით დაამარცხა.

თუმცა, ანგარიში მე-4 წუთზე სტუმართა შემტევმა უმედ კუზიევმა გახსნა. მე-12 წუთზე ელისანდრომ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 30 წამში საქართველოს ნაკრები თალესმა დააწინაურა. ტაჯიკებმა გაიბრძოლეს და მე-13 წუთზე ანგარიში ისევ გათანაბრდა — 2:2.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა დაცვაში ნაკლები შეცდომა დაუშვა, შეტევაში კი აგრესიულად ითამაშა და შოთა თოფურიას (24), თალესის (26), ნიკოლოზ კურტანიძის (34) და არჩილ სებისკვერაძის (40) გოლებით 6:2 გაიმარჯვა.

საქართველო: **ზვიად კუპატაძე, თალესი, შაგინია, არჩილ სებისკვერაძე, ელისანდრო — თორნიკე ბუკია, ალექსანდრე ჯამბურია, შოთა თოფურია, გიორგი ღავთაძე, ვახტანგ კეკელია, ირაკლი თოდუა, ვახტანგ ჯვარაშვილი, ნუკრი ჭუმბურიძე, ნიკოლოზ კურტანიძე.**

◎ ევროლიგა

ვირუსის კვალი

ისევე, როგორც ყველა და ყველაფერი, კოვიდპანდემიამ საკალათბურთო ევროლიგის პირველი ეტაპის კალენდარიც კარგა გვარიანად არია, ამიტომაც არის, რომ მართალია, განრიგის მიხედვით გუნდებმა 21-ე ტურის შეხვედრები გამართეს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა — ბევრი მატჩის გადადების გამო მათ სხვადასხვა რაოდენობის თამაშები მოაწყვეს, რის გამოც სატურნირო ცხრილს პირობითად თუ შეგვიძლია ვუწოდოთ ოპტიმალური (სიცხადისთვის გთავაზობთ მოგება — წაგებათა ბალანსს).

„ბარსელონა“ — 16:4, „რეალი“ — 15:3, „ოლიმპიაკოსი“, „ზენიტი“ — 12:6 — 12:6, ცსკა — 12:7, „მილანი“ — 11:6, „უნიქსი“ — 11:7, „ეფესი“ — 9:10 (შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფში სწორედ 8 უძლიერესი გავა), „ფენერბახჩე“, „ლიონი“ — 8:10 — 8:10, „ბაიერნი“, „მონაკო“ — 8:11, 8:11, „მაკაბი“, „ცრვენა ზვეზდა“ — 7:11, 7:11, „ბასკონია“ — 7:12, „ალბა“ — 6:11, „პანათინაიკოსი“ — 4:13, „ჟალგირისი“ — 3:14.

როგორც თავადაც დარწმუნდით, მეოთხედფინალების მოახლოებასთან ერთად მისი საგზურის მოსაპოვებლად გაჩაღებული კონკურენცია თავისთავად განაპირობებს მატჩების უმეტესობათა სიმძაფრეს.

ასე მოხდა მოსკოვშიც, სადაც ცსკა-მ მხოლოდ ბოლო მეოთხედში გატეხა „ლიონის“ შეუპოვარი წინააღმდეგობა — 90:83 (23:23, 17:16, 22:22, 28:22), რითაც რევანში აიღო პირველ წრეში იმავე მეტოქესთან საფრანგეთში განცდილი მარცხისათვის.

არმიელთა ქართველმა ლეგიონერმა **თორნიკე შენგელიამ** პარტნიორთა შესანიშნავი თამაშის ფონზე ამჯერად მხოლოდ 6 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი იკმარა, დანარჩენ მასპინძელთა პირადი მონაგარი კი ასეთია: ჰეკეტი — 27, შვედი — 17, გრიგონისი — 16, მილუტინოვი — 12, უხოვი — 6, ვოიგტმანი — 3, ლუნგბერგი — 2, კურბანოვი — 1 ქულა.

„ბარსელონა“ — „ეფესი“ 82:77, „რეალი“ — „ბასკონია“ 89:74. მორიგ მატჩს რუსული გრანდი „მილანთან“ გამართავს.

◎ 64

მსოფლიოს გამოჩენილ მოჭადრაკეთა რჩეული პარტიები და ამოცანები

პარტიის შინაარსი უნდა იყოს ჭეშმარიტების ძიება, გამარჯვება კი მისი სიმართლის დასტური.

ვასილ სმისლოვი,
მსოფლიოს ექს-ჩემპიონი

პოლ მორფი
1837-1884

უგვირგვინო მეფე

მსოფლიოს უგვირგვინო საჭადრაკო მეფედ პოლ მორფი 1858 წელს მას შემდეგ აღიარეს, რაც ლონდონის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (1851 წ.) ლეგენდარული ადოლფ ანდერსენი 7,5:1,5 დააშამათა. მოგეხსენებათ, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატები ჯერ არ იმართებოდა და ეს უკანასკნელი სამყაროს უძლიერეს მოჭადრაკედ მიიჩნეოდა.

აღსანიშნავია, რომ ბირმინგემში ამერიკელმა პოლ მორფიმ თვალდახუჭულმა ითამაშა 8 მეტოქის წინააღმდეგ ერთდროულ სეანსში და 6 პარტია მოიგო, 1 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 1 წააგო.

იგი განსაკუთრებით ძლიერი გახლდათ ღია პოზიციებში: მდიდარი ფანტაზია, მიზანდასახული შეტევები, ცეცხლოვანი კომბინაციები საყოველთაო აღტაცებას იწვევდა! დროთა მსვლელობამ ვერაფერი დააკლო მის შემოქმედებას.

— რაიმე არსებითი ახალი პ. მორფის შემდეგ ფაქტობრივად არავის შეუქმნია. მოჭადრაკეები უნდა დაუბრუნდნენ გენიალური ამერიკელის შემოქმედების შესწავლას, — ამბობდა მიხაილ ბოტვინიკი.

სენტ-ამანი
1800-1873

სენტ-ამანი მე-19 საუკუნის თვალსაჩინო ფრანგი მოჭადრაკე და კომერსანტი იყო. 1820 წლის დასაწყისში ითვლებოდა პარიზის კაფე „რეჟანსის“ წარმატებულ მონაწილედ, სადაც თავს იყრიდნენ ევროპისა და მსოფლიოს გამორჩეული მოჭადრაკეები, მათ შორის — ჩვენი ლეგენდარული თანამემამულე ანდრია დადიანი.



ჰოვარდ სტაუნტონი
1810-1874

სენტ-ამანს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა პოლ მორფისთან და მისი სეკუნდანტის ფუნქცია შეასრულა 1858 წელს მორფი-ანდერსენის ისტორიულ მატჩში.

უძლიერესი ინგლისელი მოჭადრაკე. პარიზში სენტ-ამანთან დამარცხების შემდეგ (2:3) მასთან ღირსეული რევანში აიღო (11:6). რობერტ ფიშერმა იგი ბრძენთა თამაშის ყველა დროის 10 საუკეთესო წარმომადგენლის სიაში შეიყვანა (1965).

მოამზადა
თამაზ შენგელიამ

სენტ-ამანი-მორფი
1858
I დიაგრამა



I ...g:h3! 2.g:h3 g:d3! 3.♕:d3 ♗:d3 4.♘:d3 ♕d6+

სენტ-ამანი-სტაუნტონი
1843
II დიაგრამა



II 25.g:f2 ♕h5 26.f5 b5 27.♕b2 c5 28.g:f1 ♕h4 29.f6 g:c6 30.♕d2 ♗:g3 31.♕:f2 ♕h5 32.g:h1 ♕e5 33.g:h6 c:b6 34.g:h3 ♕g5+ 35.♗:h2, 1:0

რატომ არ უნდა ავუკრძალოთ ბავშვებს ფასტფუდი და რას ნიშნავს ინტუიციური კვება

სიხარბეს იწვევს არა საკვების სიმრავლე, არამედ მისი არქონა!

საახალწლო სუფრის შედეგია ზედმეტი კილოგრამები და წელის არეში დამატებითი ნაკეცები, რომელთაგანაც გათავისუფლება არც ისე მარტივია. სწორედ ამიტომ ბევრი ჩვენგანი, ვინც საკვებისა და ალკოჰოლის მიღებისგან თავი არ შეიზღუდა, ფიგურის მოწესრიგებას ახლა გააფთრებით ცდილობს. როგორ უნდა დავიბრუნოთ ძველი წონა? ამ თემაზე გერმანელი ექსპერტების რჩევები DEUTSCHE WELLE-მ მოამზადა.

უსმინეთ საკუთარ ორგანიზმს!

როგორც ბონის კვების ფედერალური ცენტრის დიეტოლოგი ნადია როვე საინფორმაციო სააგენტო dpa-სთან ინტერვიუში აღნიშნავს, ადამიანებს უკვე მობეზრდათ დაბალკალორიული და დაბალი ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები, ასევე სხვა სახის მკაცრი დიეტები.

გარდა ამისა, ასეთი განტვირთვის დღეების ან თუნდაც კვირების შემდეგ, ზედმეტი კილოგრამების მომატება ძალიან ადვილია, რადგან ორგანიზმი დაკარგული დროის ანაზღაურებას შეეცდება და განმეორებითი „შიმშილობის“ შემთხვევაში, „რეზერვის“ გადადებას დაიწყებს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გერმანიაში სულ უფრო მეტი ექსპერტი ამჯობინებს სრულიად განსხვავებულ მიდგომას.

საუბარია ეგრეთ წოდებულ „ინტუიციურ კვებაზე“. ამ დროს ადამიანმა უნდა ისწავლოს საკუთარი სხეულის სიგნალების მოსმენა. მაგალითად, თქვენი სხეული თავად გეტყვით, როდის და რა უნდა ჭამოთ. ამაში კი მას დაეხმარება შიმშილის, მადისა და დანაყრების სიგნალები, რომლებიც ტვინში იგზავნება. დიეტოლოგები გირჩევენ, სერიოზულად მოეკიდოთ ამ რჩევებს და არ ჭამოთ ჭარბი ოდენობით საკვები და შეწყვიტოთ ეს პროცესი, როგორც კი სისავსეს იგრძნობთ.

უფრო მეტიც, როგორც ექსპერტები დიდი ხანია აღნიშნავენ, უნდა იკვებოთ ნელა, ღეჭოთ საფუძვლიანად და კონცენტრირდეთ თითოეულ ლუკმაზე, გემოსა და ტექსტურაზე. ადამიანი, რომელიც სწრაფად ჭამს, იღებს ბევრად მეტ საკვებს, ვიდრე რეალურად სჭირდება. ამის მიზეზი არის ის, რომ დანაყრების გრძნობა დაგვიანებით წარმოიქმნება. ეს კი საბოლოოდ აისახება როგორც თქვენს ფიგურაზე, ასევე — კუჭზე. პანკრეასის ფერმენტები ვერ უმკლავდებიან საკვების დაშლას და კუჭში არასაკმარისად დამუშავებული ფორმით შედიან, რაც გაცხომოვნებასა და დისბაქტერიოზს იწვევს.

არანაირი რადიკალური ზომები!

კვლევებმა აჩვენა, რომ „ინტუიციური კვების“ დახმარებით წონის დარეგულირების მეთოდი ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე საკვების შეზღუდვის, კალორიების სკრუპულოზური დათვლისა და საკვების „მავნედ“ და „სასარგებლოდ“ დაყოფის ტაქტიკა. სხვათა შორის, „ინტუიციური კვების“ მოდელის მიმდევართა თეორიის მიხედვით, „მავნე“ პროდუქტები საერთოდ არ არსებობს. მათი აზრით, თითქმის ყველაფრის ჭამა შეიძლება, მაგრამ — ზომიერად.

ზოგადად, კვებაში საჭიროა ბალანსი. მაგალითად, სასურველი წონის შენარჩუნების მიზნით, თუ უარს იტყვით ცხიმებზე და მათ რაციონიდან ამოიღებთ, თქვენი ტვინისა და ნერვული სისტემის მუშაობაზე ეს უკიდურესად უარყოფითად აისახება. სერიოზული შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ტკბილეულის სრულად უარყოფამაც. მათ, ვინც ამას აკეთებს, ხშირად აღენიშნებათ თავის ტკივილი და თავბრუსხვევა. უკვე ადამიანის დაბადების მომენტშიც კი მისი ორგანიზმი განსაკუთრებული ინტუიციით არის დაჯილდოებული. ეს ხელს უწყობს საკვების უტყუარ არჩევანს, რაც მოცემულ მომენტში აუცილებელია. შესაბამისად, კვების ექსპერტების მოსაზრებით, ვისაც სურს სწორად ჭამა, ამ ბუნებრივი ინტუიციის აღსადგენად ყველაფერი უნდა გააკეთოს.

მიჰბაძეთ ბავშვებს!

გერმანელი დიეტოლოგი უვე კნოპი ყურადღებით აკვირდებოდა ბავშვების ქცევას, რომლებმაც ამა თუ იმ დიეტის ან კვების სისტემის შესახებ არაფერი იციან. მათ უბრალოდ შეუძლიათ მოუსმინონ თავიანთ სხეულს, რომელიც ყოველთვის თავად გვეუბნება რა სჭირდება. ექსპერტების შეფასებით, ვისაც სწორად კვება სურს, უნდა დაემსგავსოს ბავშვს — უარი თქვას წონის კონტროლზე და მხოლოდ საკუთარ ორგანიზმს ენდოს.

თავის წიგნში — „ბავშვო, ჭამე ის, რაც მოგწონს!“ („Kind, iss was“ dir schmeckt!“) უვე კნოპი განმარტავს, თუ რატომ ურჩევნიათ პატარებს ესა თუ ის პროდუქტი. მაგალითად, ავიღოთ ბავშვების სიყვარული თეთრი პურის მიმართ. გამოდის, რომ ეს პროდუქტი ენერგიის დიდი წყაროა, რაც ბავშვის ზრდისთვის აუცილებელია. ამავდროულად, ბევრად უკეთ ხდება მისი მონელება, ვიდრე ცეხვილი პურისა. ამასთანავე, მშობლები ხშირად აიძულებენ შვილებს ჭამონ მთელი ულუფა, რაც თეფშზეა. უვე კნოპი ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგია. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ უნდა ჭამოთ ზუსტად იმდენი, რამდენიც ორგანიზმს სჭირდება. თუმცა თუ ადამიანი დილიდან საღამომდე მძიმე ფიზიკური შრომით არის დაკავებული, მაშინ, რა თქმა უნდა, მის თეფშზე მეტი საჭმელი უნდა იყოს, ვიდრე იმ ადამიანისა, ვინც ოფისში მუშაობს.

ნუ ამბობთ უარს ფასტფუდზე!

ინტუიციური კვების მთავარი წესი არის ის, რომ ჭამა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე. თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შიმშილის ფიზიოლოგიურ გრძნობას განიცდით და არ ჭამთ შიმშილთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორების გავლენის ქვეშ, როგორიცაა სევდა, შფოთვა, სტრესი, ჯილდო კარგი მუშაობისთვის, მოწყენილობა.

უვე ნოპის აზრით, ადამიანს საკვების არჩევის სრული თავისუფლება ექვსი თვის ასაკიდან უნდა მიეცეს. ის თვლის, რომ ბავშვებს არ უნდა აეკრძალოთ დედის ან მამის თეფშიდან ჭამა და შეუძლიათ აირჩიონ ის, რაც მოეწონება, იქნება ეს კარტოფილის ნაჭერი, ბროკოლი თუ ბანანი. უფრო მეტიც, მრავალფეროვანი საკვები მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს — მათ შორის, ისეთი „აკრძალული“ საკვები, როგორიცაა ფასტფუდი.

დიეტოლოგის თქმით, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, როცა „აკრძალული“ საკვები აკრძალული აღარ არის, ადამიანი მის მიმართ ინტერესს კარგავს. ნებისმიერ შემთხვევაში, იმისათვის, რომ ზედმეტი არ ვჭამოთ, არჩევანი ყოველთვის უნდა გვქონდეს. ყოველივე ამის შემდეგ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, სიხარბეს იწვევს არა საკვების სიმრავლე, არამედ მისი არქონა.

არდავიწყება

თამაზ ჭელიძე



რთული ყოფილა მოსაგონარი თუ სანუგეშებელი სიტყვების პოვნა მაშინ, როცა ახლობელ ადამიანს, მეგობარს კარგავ. დღეს 40 დღე გავიდა და ერთი თბილისელი კაცის, ღირსეული მოქალაქის თამაზ ჭელიძის სული ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის დაბადებიდან საიუბილეო, 80 წელი. თამაზ ჭელიძე ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური ცხოვრებითა და მოღვაწეობით. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, ორ ათეულ წელზე მეტი გამოეთიშა იგი პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას, მაგრამ არასოდეს განელებია საკუთარი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში მონაწილეობის სურვილი. ერთგულად გულშემატკივრობდა საქართველოში მიმდინარე პროგრესულ ცვლილებებს.

თამაზმა ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შინაარსიანი, ნაყოფიერი გზა განვლო. დაამთავრა ქ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლა, შემდეგ — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი კურსი. მისი სამუშაო გამოცდილება იწყება სტუდენტობის წლებიდანვე. საუკეთესო წლები გაატარა კასპის ხილკენკროვანი ღვინის ქარხანაში. შემდეგ იყო პარტიული წინსვლა და არაერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში. თამაზ ჭელიძე გამოირჩეოდა თავისი პიროვნული თვისებებით, ინტელექტით, ზნეობით, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, უანგარობით, სიკეთის კეთების სურვილითა და უნარით. ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელთანაც ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა და არ დაემსახურებინა მისი სიყვარული. იგი მისაბაძი იყო როგორც ერთგული მეუღლე, საუკეთესო მამა და ბაბუა, კოლეგა და ხელმძღვანელი პირი, სამაგალითო ნათესავი და მეგობარი. ვერავინ შეედრებოდა მას მოცემული პირობის შესრულებაში. მისეული მზრუნველობა, სითბო და სიყვარული, არასოდეს განელდება და თითოეულ ჩვენგანს გაჰყვება სიცოცხლის ბოლომდე.

თამაზ ჭელიძე ცნობილი გეოლოგის, აკაკი ჭელიძის ოჯახში დაიბადა და რამდენიმე წლის განმავლობაში იზრდებოდა კვაისაში, ძალიან ახლოს სამაჩაბლოსთან. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იხსენებდა იქ გატარებულ წლებს, მეგობრებსა და ახლობლებს, ნათელ-მირონებს. ბოლომდე ერთგული რჩებოდა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა; სწამდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის ურღვეობისა და ჩვენც გვჯერა, რომ მისი ეს სურვილი მალე რეალობად იქცევა.

დაგვტოვა თამაზმა, მაგრამ ის სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

მეგობრები

გურამ საღარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული კულტურისა და სპორტის, სტუდენტი-ახალგაზრდობის სწავლა-განათლების, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და უძველესი სამეფო საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი

ჯანო ბაგრატიონი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის წევრები, ახლო ნათესავები და მეზობლები მშობლიური ბოსლევიდან: მამია, ზურაბ, რობერტ, დოდო, ლამარა, სვეტა, ლომარი, ბორია, ბონდო, მეგონა, ეთერ, დარეჯან, ირა, იზოლდა, მურმან, დემურ, დათუნა, კოლია, მერაბ, გოგი, თომა, თემურ, ნუკრი, გია, ირაკლი, გოგიტა, ზურიკო, სპარტაკ, მანანა, რატი, ლექსო ჭუმბურიძეები; ნონა კალაიჯოვი, ვოვა მიქაბერიძე; ტარიელ და გოგილო ღავთაძეები; თინიკო, ბორიკო, ზაზა, ზვიად მახათაძეები, რუსუდან ღამბაშიძე, ათოსი ჩაფიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უკეთილშობილესი, უსათნოესი, მოამაგე, დამსახურებული ექიმის, ქალბატონი

ლია ჭუმბურიძე-ბარელაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ქალიშვილს — თამრიკოს, რძლებს, სიძეებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა

UNESCO-ს ოფიციალურ გამოცემაში „World Heritage“ სტატია — „საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა“ გამოქვეყნდა.

საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ სტატია 3 ენაზე — ინგლისურად, ფრანგულად და ესპანურად არის ხელმისაწვდომი. სტატიაში საქართველოს 4 დაცული ტერიტორიის, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკებისა და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ ვკითხულობთ.

„კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით. კავკასია, თავის მხრივ, ეკოსისტემების მრავალფეროვნებით, მსოფლიოს 36 ცხელ წერტილს შორისაა. UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. ეს რეგიონები გამორჩეულია უნიკალური ბიომრავალფეროვნებით, მრავალფეროვანი ეკოსისტემებით და გასაოცარი ლანდშაფტებით. აჭარის რეგიონი, თავისი მთიანი კურორტებითა და ფირუზისფერი სანაპიროებით ტურისტებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს, — აღნიშნულია სტატიაში.

აღსანიშნავია, რომ კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია, შესაბამის ფოტომასალასთან ერთად, განთავსდება Google-ის შემეცნებით პლატფორმაზე „Arts and Culture“, რომელსაც წელიწადში 350 000- ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობის ზრდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და, შესაბამისად, ვიზიტორების დაინტერესებას და მოზიდვას.

2021 წელს, საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, მსოფლიოს 213 ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხას დაემატა და ღირსეული ადგილი მოიპოვა ამაზონის ტყის, გრანდ კანიონის ეროვნული პარკის, იელოუსტოუნის ეროვნული პარკის, მთა ეტნას, შვეიცარიის ალპების გვერდით.

ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია

ბაკურიანს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ წლების განმავლობაში გაახანგრძლივოს სეზონი და უფრო ეფექტურად მოახდინოს **კურორტზე სამზადისი უშუალოდ ზამთრის სეზონისთვის,** — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მარიამ ქვრივიშვილმა „ქრონიკასთან“ განაცხადა.

„უკიდურესად საამაყოა, რომ საქართველო მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. განსაკუთრებით გამოსაკვეთია ის, რომ ბაკურიანი იქნება მასპინძელი, როგორც სამთო-სათხილამურო კურორტი. ჩვენ მიმდინარე წლის თებერვალსა და მარტში გვექნება სატესტო შეჯიბრებების მასპინძლობა, რის ფარგლებშიც ჩამოვლენ მსოფლიო დონის მოთხილამურეები. უკვე მოვამზადეთ არაერთი ინფრასტრუქტურა, რომ საქართველო ღირსეულად დახვდეს თუნდაც სატესტო შეჯიბრებებს. აშენდა სამი ახალი საბაგირო, გაკეთდა ახალი სათხილამურო ტრასები. მოგახსენებთ, რომ უკვე კულმინაციურ 2023 წლისთვის, როდესაც საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება, ჩვენ მზად გვექნება ხელოვნური ტბები და რეზერვუარები, რომელიც იქნება

წლის წყარო იმისთვის, რომ პარალელურ რეჟიმში შეიქმნას და აშენდეს ხელოვნური გათოვლიანების სისტემები, რაც პირველ რიგში ბაკურიანს მისცემს ისტორიული ღირებულების მქონე ინფრასტრუქტურას, რომელიც კურორტს წლების განმავლობაში დარჩება. ასეთი მსხვილი ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად არცერთ კურორტზე გაკეთებულა. ეს რა თქმა უნდა ერთის მხრივ იქნება მსოფლიო სტანდარტების მქონე ინფრასტრუქტურა და მეორე მხრივ, არსებული ინვესტირებით ბაკურიანს ექნება იმის შესაძლებლობა, რომ წლების განმავლობაში გაახანგრძლივოს სეზონი და უფრო ეფექტურად მოახდინოს კურორტზე სამზადისი უშუალოდ ზამთრის სეზონისთვის“, — აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.

ქორწინების 81-ე წლისთავი

ბრიტანელი წყვილი, რონ და ჯოის ბონდი 1941 წელს ბაკინგემშირში დაქორწინდნენ და დღემდე ერთად არიან. ისინი ამბობენ, რომ ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ.

„ჩვენს ურთიერთობაში უფროსი არ არის. ორივე გავცემთ და ვიღებთ. არასოდეს გვეგონა, რომ ჩვენი ქორწინების დღიდან 81 წელს მივაღწევდით. ვიცით, რომ ძალიან გაგვიმართლა, რომ ამ საოცარ მიზანს მივაღწიეთ. ეს ჩინებული გრძნობაა“, — ამბობს მისის ბონდი. რონი — 102-ის, ჯოისი კი 100 წლის არის. მათ 2 შვილი, 3 შვილიშვილი, 6 შვილთაშვილი და 1 შვილთაშვილიშვილი ჰყავთ. შარშან, ქორწინებიდან 80 წლის იუბილეზე წყვილმა მისალოცი ბარათი დიდი ბრიტანეთის დედოფლისგან მიიღო.

ყველაზე ნიჭიერი ვუნდერკინდი მოცარტის შემდეგ

ამერიკელი პიანისტი რუთ სლენჩინსკა, რომელიც 15 იანვარს 97 **წლის შესრულდა, ალბომს გამოუშვებს.**

მან კონტრაქტი ხმის ჩამწერ სტუდია Decca-სთან გააფორმა. ჩანაწერში სახელწოდებით My Life In Music („ჩემი ცხოვრება მუსიკაში“) სერგეი რახმანინოვისა და ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებებია შესული. ალბომზე მუშაობა შარშან დასრულდა, ჩანაწერის გაყიდვა 18 მარტს დაიწყება. სლენჩინსკას თქმით, ეს პროექტი მისთვის დაუჯერებელია: **„ვის გაუგონია, რომ ჩემი ასაკის პიანისტს კიდევ ერთი ალბომი გამოეშვას?“** — ამბობს ის.

რუთ სლენჩინსკა საკრამენტოში დაიბადა. პირველი კონცერტი 4 წლისამ დაუკრა. ის ცნობილი კომპოზიტორის სერგეი რახმანინოვის უკანასკნელი ცოცხალი მოსწავლეა. მას ვოლფგანგ მოცარტის შემდეგ ყველაზე ნიჭიერ ვუნდერკინდად მიიჩნევდნენ.

მფრინავი ავტომობილი



დუბაიში მფრინავი ავტომობილის პროტოტიპის, Volar-ის პირველი ცდები ჩატარდა. ელექტრომობილი 4 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და პირველი ფრენა 40 კმ/სთ სიჩქარით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ პროტოტიპი ორიგინალ ავტომობილზე ორჯერ პატარაა, თუმცა ინჟინრები აცხადებენ, რომ მფრინავი ავტომობილი 200 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილებას და 100 მეტრის სიმაღლეზე ფრენას შეძლებს.

სრულმასშტაბიანი მფრინავი ავტომობილის ცდები კომპანია Bellwether Industries-ს 2023 წლისთვის აქვს დაგეგმილი, 2030 წლიდან კი Volar-ი ბაზარზე გამოჩნდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 18 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0775; ევრო - 3.5268;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2260;
100 რუბლი - 4.1407; თურქული ლირა - 0.2271;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8085;
1000 სომხური დრამი - 6.3953.

ამინდი 17 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-9,	დღე	+4
მთიანი რაიონები -	ღამე	-14,	დღე	0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	0
თბილისი:	ღამე	-5,	დღე	+3

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge